# საერთო გაზეთი

№11 (323) ● 25 მარტი, 2015 წელი ● გამოდის ოთხშაბათს ● WWW.SAERTOGAZETI.GE ● ფასი 1 ლარი



**შოთა გლურჯიძე:** იმაზე დიდი უზნეობა რა უნდა იყოს, როცა ივანიშვილის მიერ ნაჩუქარ „ჯიპში“ ზიხარ, ივანიშვილის მიერ ნაბოძებ სახელისუფლებო სავარძელში ნებივრობ და ივანიშვილს აგინებ...

## ელდარ ნადირაძე:

„თქვენ ხართ ჩმორები და არა მხოლოდ! თუ რატომ, ამას თქვენც მიხვდებით და, ვფიქრობ, სხვებიც...“

## გრიგოლ გაგნიძე:

მოსალოდნელია თუ არა საპარლამენტო გადატრიალება?!

# საუკუნის ძარცვა, ანუ ენერგომაფია და ქართული ენერგეტიკის „რუხი კარდინალები“

## სომხური ეკლესია საქართველოს ხელისუფლებისგან 394 „სომხური“ ეკლესიის გადმოცემას ითხოვს

## რამდენი „ძუკნის“ შვილია ერთდროულად სააკაშვილი?



## „გოგი თოფაძემ ბოთლიდან ის ჯინი ამოუშვა, რომელსაც ხალხის ხმა ჰქვია...“

ტელეკომპანია „იმედი“ ოფიციალურ გვერდზე განცხადებას აქვეყნებს, რომელშიც ინგა გრიგოლიასა და ეკა ხოფერიას გაკეთებულ გამონათქვამებს ეხმაურება:

ტელეკომპანია „იმედს“ სურს დააფიქსიროს თავისი პოზიცია იმ განცხადებების გამო, რომელიც გაისმა იმედის ეთერში ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში. პარასკევს, ჟურნალისტმა ინგა გრიგოლიამ განაცხადა, რომ „ოცნების“ საპარლამენტო უმრავლესობამ კატეგორიულად მოსთხოვა გადაცემის ავტორებს, არ გაეშუქებინათ „რეაქციაში“ 21 მარტის აქციის თემა.

ასევე, „იმედის კვირაში“ წამყვანმა ეკა ხოფერიამ გამოთქვა აზრი, რომ ხელისუფლებისათვის მიუღებელია ობიექტური „იმედი“. ამ განცხადებებმა შექმნა შთაბეჭდილება, რომ ხელისუფლება ერევა არხის პოლიტიკური სახის განცხადებები, განსაკუთრებით გადაცემის თემატიკის შეზღუდვასთან ან ტელეარხის დამოუკიდებლობის ხელყოფასთან დაკავშირებით, რასაც ქონდა ადგილი ამ შემთხვევაში აღნიშნული წამყვანების მხრიდან.

მიუხედავად იმისა, რომ ზემოთაღნიშნულ ჟურნალისტებს მიაჩნიათ, რომ მათი განცხადებები არასწორად იქნა გაგებული, არხის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ წამყვანების განცხადებები გაკეთდა არამიზანმიმართულად და ემოციურ ფონზე. ტელეკომპანია იმედი აცნობიერებს, რომ ასეთ რეალობასთან შეუსაბამო განცხადებებს შეიძლება მოყვეს არასწორი ინტერპრეტაციები და გამოთქვამს წუხილს ეთერში გაცხადებული შეფასებების გამო.

ტელეკომპანია „იმედი“ მუდმივად



# რა ხდება ტელეკომპანია „იმედში?“

სარედაქციო პოლიტიკაში და ცდილობს ჟურნალისტებზე ზეწოლას.

ტელეკომპანია „იმედი“ ცალსახად აცხადებს, რომ ჟურნალისტების ეს გამონათქვამები მოკლებულია საფუძველს. არც ხელისუფლებისგან, არც „ქართული ოცნებისგან“ და არც რაიმე სხვა პოლიტიკური ძალის მხრიდან ადგილი არ ქონია „რეაქციის“ თემატიკაში ან ზოგადად არხის სარედაქციო პოლიტიკაში რაიმე ფორმით ჩარევას. ტელეკომპანია „იმედი“ იცავს და მომავალშიც დაიცავს საკუთარ სარედაქციო პოლიტიკასა და ჟურნალისტების საქმიანობას გარეშე ჩარევისაგან.

რეალურად, „რეაქციაში“ ხელისუფლების მხრიდან შეპირებული სტუმრებიდან ეთერში მოვიდა მხოლოდ შს მინისტრის მოადგილე, ლევან იზორია. ხოლო საპარლამენტო უმრავლესობამ, მიუხედავად წინასწარი მოლაპარაკებისა უარი განაცხადა 21 მარტის აქციის თემასთან დაკავშირებით გადაცემაში პოლემიკაზე.

რასაკვირველია არხისათვის არ არის სასურველი პოლიტიკური პარტიების მხრიდან გადაწყვეტილებების მოულოდნელი ცვლა ეთერის წინ, თუმცა ასეთი ფაქტები არ იძლევა უფლებას გაკეთდეს პორჩება პროფესიონალიზმის მაღალი სტანდარტების და დამოუკიდებელი მედიის პრინციპების ერთგული - ნათქვამია წერილში.

ტელეკომპანია „იმედის“ მიერ დღეს გავრცელებულ განცხადებას სოციალურ ქსელში ინგა გრიგოლია გამოეხმაურა, როგორც თოქ-შოუ „რეაქციის“ წამყვანი წერს მისთვის განცხადების აზრი გაუგებარია .

„აი, თქვენ კიდევ არ მიჯერებდით, როცა ვამბობდი რომ სრულიად თავისუფალი და დამოუკიდებელია-თქო ჩვენი გადაცემები... ახლა მაინც დაიჯერეთ“, - წერს ტელეწამყვანი.

„დამღუპავს მე ეს ემოციები. ხოფერიაც თუ ემოციური გოგო იყო, არ ვიცოდი... ჩემმა ემოციებმა უკვე ზევითაც შეაწუხა ხალხი“- წერს გრიგოლია.

„ასე მოულოდნელად დამეცა მეხი“... „მეწყინა“ - აღნიშნავს ჟურნალისტი.

გავრცელებული ინფორმაციით ტელეკომპანია „იმედის“ საგანგებო განცხადების მერე ტელეკომპანია შესაძლოა დატოვოს ინგა გრიგოლიამ და ეკა ხოფერიამ.

**მომზადებულია საინფორმაციო სააგენტოების მასალების მიხედვით**

## საერთო გაზეთის რეპლიკა

„საერთო გაზეთში“ (№6, 2015 წ.) ამ ორიოდე კვირის წინათ ვწერდით: „რუსთავი-2“-თან დაკავშირებით ყველაფერი გარკვეულია და მასზე ლაპარაკიც არ ღირს, მაგრამ ტელეკომპანია „იმედის“ მეპატრონეებს გვინდა ვკითხოთ — თქვენ ეს ტელევიზია ახალმა ხელისუფლებამ იმისთვის დაგიბრუნათ, რომ თქვენს კეთილისმყოფელს წვდომოდით ყელში და ზურგში დანა ჩაგეცათ?

„იმედი“ მავნებლობაში მალე გაუსწრებს „რუსთავი-2“-ს და ხმა**მამალი** გრიგოლია მალე გადააყვირებს ხმა**დედალ** გაბუნიას“.

როგორც ჩანს ხმა**მამალმა** გრიგოლიამ უკვე გადააყვირა ხმა**დედალ** გაბუნიას, რაც კანონზომიერი შედეგით, სკანდალით, დასრულდა...

# გასულ წელს საქართველოში ტუბერკულოზის 3800 ახალი შემთხვევა დაფიქსირდა!

**ტუბერკულოზის დაავადება კაცობრიობის წინაშე დღემდე მწვავე პრობლემაა და იგი იმდენად აქტუალურია, რომ ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციას ამ დაავადებასთან ბრძოლის დღეც აქვს გამოცხადებული. საქართველოში, როგორც ეკონომიკურად სუსტ ქვეყანაში, ეს პრობლემა მწვავედ დგას. საქართველოში ტუბერკულოზისგან გამოწვეულ პრობლემებზე საქართველოს ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის აღმსარულებელ დირექტორს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ზაზა ავალიანს და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილეს ეკატერინე ქავთარაძეს ვესაუბრეთ.**

**— ბატონო ზაზა, ზოგადად რა დაავადებაა ტუბერკულოზი?**

— „სიმჭლევის, ანუ ხორცნაკლულთა სენი“, ასე უწოდა სულხან-საბა ორბელიანმა ტუბერკულოზს. ეს სენი უხსოვარი დროიდან თან სდევს კაცობრიობას. ტუბერკულოზის პირველი ნიშნები ჯერ კიდევ ქვის ხანის სამარხებშია აღმოჩენილი.

**— რა შემთხვევაში ილვიძებს და ვითარდება დაავადება?**

— ამისთვის სხვადასხვა პირობებია საჭირო. პირველ რიგში, ადამიანის ორგანიზმის ზოგადი მდგომარეობა, მისი იმუნური სისტემის სტაბილურობა. ეს გახლავთ აიროვანი გზით გავრცელებადი ინფექცია. თუმცა ადამიანი შეიძლება დასნებოვნებული საქონლის ხორცითაც დაავადდეს. თუმცა ტუბერკულოზი არ გახლავთ ის დაავადება, რომელიც ხელის ჩამორთმევით ვრცელდება. აუცილებელია, ხალხმა იცოდეს ის მარტივი ნიშნები, როცა აუცილებლად უნდა მიმართონ ექიმს.

**SOS!**

ეს გახლავთ ორ კვირაზე მეტ ხანს ხველება, ღამის საათებში ოფლიანობა, საღამოს ტემპერატურის მატება. ახასიათებს სისუსტე, უმადობა, ტკივილი გულ-მკერდის არეში. ამ ნიშნების არსებობისას აუცილებლად უნდა მიმართონ ექიმს.

მინდა გითხრათ, რომ ტუბერკულოზი მხოლოდ სამედიცინო პრობლემა არ არის, იგი სოციალური საშიშროება და საფრთხეა.

ტუბერკულოზი ქრონიკულად მიმდინარე დაავადებაა, იგი თავს უცებ არ იჩენს. ეს არის მისი ვერაგი თვისებების ერთ-ერთი მხარე. არის შემთხვევები, როდესაც გარეგნულად პაციენტი თავს კარგად გრძნობს, ჩივილები არა აქვს, თუმცა სამედიცინო კვლევა სხვა შედეგს გვაძლევს.

**— ჩვენთან რა მდგომარეობაა და რა დონის მკურნალობა უტარდება პაციენტებს?**

— საქართველო ტუბერკულოზთან ბრძოლის კუთხით მოწინავე ქვეყნების რიგებშია. ჩვენთან აწყობილია ამ დაავადებასთან ბრძოლის საერთო სისტემა. ტუბერკულოზის ეროვნული პროგრამა სახელმწიფოს მხრიდან ფინანსდება და ბიუჯეტი 12 მილიონ ლარს აღწევს. ამას ემატება ტუბერკულოზთან, შიდსთან და მალარიასთან ბრძოლის გლობალური ფონდიდან მოწოდებული 5,2 მილიონი ევრო, რომელიც მედიკამენტების შესასყიდად გამოიყენება. დღეს საქართველოში ვისაც აქვს ტუბერკულოზის პრობლემა და საჭიროებს კვლევას თუ მკურნალობას, უზრუნველყოფილია სახელმწიფოს მიერ.

**— დაავადების მკურნალობა ძვირია? რა თანხა დაუჯდება პაციენტს მკურნალობა?**

— რასაკვირველია, მკურნალობა ძალიან ძვირი ჯდება, რამდენიმე ათეული ათასი, ავადმყოფისთვის კი უფასოა, ამას ხაზგასმით გეუბნებით. სახელმწიფოსგან და ზემოთ ნახსენებ ფონდისგან მიღებული თანხები ძირითადად მიმართულია პაციენტების უზრუნველყოფისთვის.

**— როგორია საქართველოში ტუბერკულოზის გავრცელების სტატისტიკა?**

— საშუალოდ წელიწადში ასი ათას სულ მოსახლეზე ასამდე შემთხვევა ფიქსირდება. სამწუხაროდ, დიდი მაჩვენებელია თუ შევადარებთ განვითარებული ქვეყნების სტატისტიკასთან, მაგრამ მცირეა აზია-აფრიკის ქვეყნებთან შედარებით. არის შემცირებაც, მაგრამ, ამავე დროს, გვაქვს მძიმე ფორმების შემთხვევების ზრდა. ჩვენ ვამბობთ, რომ ტუბერკულოზი განაჩენი არ არის, განკურნებადია. თუმცა, აქვე ვთქვათ — განკურნებადია იმ შემთხვევაში, როდესაც დროულია დიაგნოსტიკა და ადეკვატურია მკურნალობა. ავადმყოფიც დამყოლი და მოწადინებული უნდა იყოს მკურნალობისთვის. ტუბერკულოზის საწინააღმდეგო წამლები უძლიერესი ქიმიო-თერაპიული ჯგუფის პრეპარატები გახლავთ, რომლებსაც აქვთ გვერდითი მოვლენები. ხშირია შეწყვეტილი მკურნალობის შემთხვევები, რაც, ზოგჯერ, დაკავშირებულია გვერდითი მოვლენების გაუსაძლისობასთან. პაციენტებს სამედიცინო დახმარების გარდა საზოგადოების მხარდაჭერაც სჭირდებათ დეპრესიის დასაძლევად.

**— როგორ პირობებში ვრცელდება ტუბერკულოზი?**

— ტუბერკულოზის გავრცელებას თავისი პირობები აქვს. იგი რამდენიმე რისკის ჯგუფში ვრცელდება. ეს გახლავთ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილები, ბნელი, ნესტიანი, გაუნიავებელი სათავსები. ძირითადად, ასეთი პირობები პენიტენციარულ დაწესებულებებშია. უნდა ვაღიაროთ, რომ ბოლო წლებში დიდი ნაბიჯები გადაიდგა ასეთ დაწესებულებებში დაავადებულთა გამოსავლენად და სამკურნალოდ. შექმნილია ტუბერკულოზთან, შიდსთან და ნარკომანიასთან ბრძოლის ეროვნული საკოორდინაციო საბჭო, რომელსაც ჯანდაცვის მინისტრი ბატონი დავით სერგეენკო ხელმძღვანელობს.

**ეკატერინე ქავთარაძე:**

**— ქალბატონო ეკატერინე, საქართველოს რომელ რეგიონებშია უფრო მეტად გავრცელებული ტუბერკულოზი?**

— განსაკუთრებით მაღალი მაჩვენებელია აჭარაში და სამეგრელოში. შარშან საქართველოში 3800 ახალი შემთხვევა დაფიქსირდა. ჩვენი ქვეყანა იმ 27 ქვეყანას შორისაა, სადაც მაღალია ამ დაავადების გავრცელების მაჩვენებელი. 2013 წელს მსოფლიოში 9 მილიონი ადამიანი იყო დაავადებული, აქედან, 1,5 მილიონი გარდაიცვალა, რაც საკმაოდ დიდი რიცხვია. ერთ-ერთი მთავარი საფრთხე, რაც ახლავს ტუბერკულოზს, შეწყვეტილი მკურნალობაა. ამ დროს დაავადება გადადის იმ ფორმაში, როდესაც აღარ ექვემდებარება მკურნალობას.

**გია ბურდული**
551 71 27 07

„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „გამომცემლობა სამშობლოში“; ტელ.: 599 95 31 90

◆ ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

# „თქვენ ხართ ჩმორები და არა მხოლოდ! თუ რატომ, ამას თქვენც მიხვდებით და, ვფიქრობ, სხვებიც...“



ელდარ ნადირაძე

თეა თუთბერიძის ციტატას თუ ოდესმე გამოვიყენებდი, ამას ნამდვილად ვერ ვიფიქრებდი, მაგრამ ახლა ამ ქალბატონს აუცილებლად უნდა დავესესხო, რადგან მისი და ჩემი შთაბეჭდილება „ნაციონალების“ 21 მარტს მიტინგთან დაკავშირებით (რომელიც მათი „ბელადების“ საქციელითაა გამოწვეული), საოცრად ემთხვევა ერთმანეთს.

ბუნებრივია, ისე როგორც ყველას, მეც მაინტერესებს ის როლი და ადგილი, რომლებიც „ნაციონალებს“ უჭირავთ დღეს ქართულ საზოგადოებაში. ამიტომ, მიტინგზე დროულად მივედი...

„ნაციონალები“ ელოდნენ მომიტინგეთა კოლონას და ვიდრე ისინი არ მოსულიყვნენ დროს არ კარგავდნენ და მიკროფონთან, რომ იტყვიან ხურდებოდნენ - ერთმანეთს მალ-მალე ენაცვლებოდნენ და უშვერი სიტყვებით ლანძღავდნენ ბიძინა ივანიშვილს. სამიტინგო მოთელვისთვის, მათი აზრით, ეს იყო იდეალური საშუალება, თუმცა შეძახილები ივანიშვილის შუშის სასახლის დანგრევისა და მისი საქართველოდან მოკვეთის შესახებ, ხალხის მხრიდან საკმაოდ ულიმღამოდ იქნა მიღებული. რაც ზოგად ფონად გაჰყვა მიტინგს, ვიდრე მის დასასრულამდე.

მიტინგების მოწყობის ხელოვნების ბევრი არაფერი გამეგება, მაგრამ მისმა რეჟისურულმა ჩანაფიქრმა, რომ მომიტინგეთა გულში ჰეროიკული გრძნობები გაეღვიძებინა და საბრძოლო ცეცხლი დაენთო, ნამდვილად ვერ მიაღწია მიზანს. უკრავდა რაღაც ჯოჯოხეთურ სიმაღლემდე აწეული მარში, რომელიც ტანში ზარავდა ყველას და ნაციონალი ორატორების პირგამეხებულ ლანძღვა-გინებას აპოკალიპსურ ფონად გაჰყვებოდა.

მიტინგის უპირველეს დამახასიათებელ ნიშანად იქცა მელიას, გაბაშვილის, ვაშაძისა და რატიანის მუქარისა და ანგარიშსწორების დაუძლეველი სურვილით გაჟღენთილი ისტერიკული ღრიალი, რომელშიც შიგადაშიგ ყვავილებად იყო ჩარგული ხვეწნამუდარა ხალხისადმი- აჰყოლოდნენ ამ ღრიალში!

**სწორედ, რომ „ჩმორობისა და უტვინობის“ (დიდათ ვმადლობ ქალბატონ თეას) ნიმუშად შეიძლება მივილოთ ორატორთა პათოსი და დაბოლება ხალხისა, თითქოს ამჟამად და ამ მომენტში, მსოფლიოს უდიდეს ქალაქებში, მიმდინარეობდა თბილისელ მომიტინგეთა მხარდამჭერი აქციები და, რომ მთელი მსოფლიო ნაციონალთა მხარეს იყო.** ეს იყო სიმწრით განცდილი, ღიმილისმომგვრელი ტყუილი, რამაც თვით ცნობილი პატიმრების - მერაბიშვილის, უგულავასა და ახალაიას მომხრეთა გულშიაც (რომლებიც წარმოადგენდნენ ამ მიტინგის აბსოლუტურ უმრავლესობას) კი ვერ იპოვა ადგილი.

ყავლგასულ, გაცვეთილსა და სიტუაციისთვის აბსოლუტურად შეუფერებელ ამ ღრიალომანიას ახლდა რამდენიმე უზნეო პასაჟი, თუნდაც მელიას მიერ, ხელში უხერხულად, რაღაც საგანივით აყვანილი ბავშვი, რომლის ანგელოზური არსება ამ არამზადამ თავისი ბინძური პროპაგანდისთვის გამოიყენა. ნეტავ მის სულიერ მამას, გიგა ბოკერიას- „მსოფლიო მასშტაბის ჰუმანისტს“ თუ გაუჩნდა კითხვა - მელიას ამ უხამს საქციელთან დაკავშირებით?!

მეორე და არანაკლებ „ჩმორულ“ საქციელად მომეჩვენა თავისუფლების მოედნისთვისაც კი შეუფერებელი, პატრიოტული აპლომბით ატეხილი ღრიალი საქართველოსა და ქართველობის შესახებ, ესაა ჯადოსნური სატყუარა, რომელიც დიდი ხანია გაიცვითა „ნაცების“ ხელში, და ეს ხმა წყევლა-კრულვად გაისმოდა ადამიანების პირიდან, რომლებმაც ყველაფერს ქართულს პირში შეაფურთხეს და სული ესწრაფვოდათ მთელი საქართველოს როგორ გააინგლისურ - გაასინგაპურელებდნენ („პროგრესულად მიმვიჩნევ თუ საქართველოში სახელმწიფო ენა იქნება ინგლისური“ მ. სააკაშვილი).



**„კოლონები მოდის, სამეგრელო ჩვენთანაა!“ ბღავის გაბაშვილი. „მთელი კახეთი ჩვენთანაა!“ ბღავის რატიანი. „მთელი საქართველო ჩვენთანაა!“ ბღავის ვაშაძე. „კოლონები“, „კოლონები“ ისმის გაუთავებლად,“ გმირი საქართველო ჩვენთანაა“, ბღავიან მიტინგის დაოსებული ბელადები.**

**და მოვიდა კოლონა. მოვიდა დროშების ხათრიანი ქნევით, რაღაც პანაშვიდური დუმილით, უიმედობის სულით გასუდრული. სადღაა ის რაც უკვე ერთხელ ნახეს „ნაციონალებმა“, სადღაა ძალა და დიდება გარდასულ დღეთა?!**





რუსთაველის მხრიდან შემოსულმა ხალხის მასამ სანახევროდ თუ გაავსო თავისუფლების მოედანი. მოლოდინით დაღლილი ნაციონალ ბელადთა თვალებმა ნამდვილად ვერ იხილეს ის რაც სურდათ დაენახათ. ეს მიტინგი მართლაც რომ „ჩმორული“ გამოდგა მათი სამიტინგო საქმიანობის ისტორიაში და არა მგონია თუთბერიძის ამ შეფასებას და ზოგად დაღმასვლას „ნაციონალებისას“, გულში მაინც, არ დაეთანხმოს ქართველთმოძულეობის ყველაზე გამოჩენილი და ორთოდოქსი მოღვაწე გიგა ბოკერია.

დადგა მიტინგი და დაიწყო ქართველობის მოყირჭებული ქება-დიდებით. ისმის სიტყვები „ამაყი ერი“, „რომელიც არასდროს შეეგუება ოლიგარქის მონობას, რომელმაც გააღვივა შური, მტრობა, ადამიანთა სიძულვილი“ (ს. რატიანი) „საზოგადოების მოთმინება, რომელსაც აქვს საზღვარი და არ დაუშვებს ივანიშვილმა უფსკრულში გადასჩეხოს საქართველო“ (ნ.მელია), „ასიათასობით ამაყი ქართველი, რომელიც გმინავს „ქართული ოცნების“ უღელში“,(გ. გაბაშვილი), „არვის დავუთმობთ ჩვენი ქვეყნის მომავალს“ (გ. ბოკერია) „მდიდარმა ავანტიურისტმა ჩვენს შვილებს წაართვა მომავალი“ (ი. ნადირაშვილი)“

ტერორისტები“, „ჯაშუშები“ „გამყიდველები“ ‘მკვლელები“ - (თითქოს თავის თანაპარტიელებზე ლაპარაკობსო) ისმის ვიღაც ბიბილაშვილის გამოსვლაში. იფრქვევა ზიზღი და შურისძიების წყურვილი ავარდნილია ზეცაში.

დგას ხალხი და ისმენს, ზოგს გული ეფხანება და მეტი და მეტი სურს, მაგრამ მიტინგის მონაწილეთა დიდი ნაწილი აშკარად ინდიფერენტულია. ბაქრაძემ შენიშნა ეს: „ხალხო გამოვცოცხლდეთ ცოტა, ხომ ხედავთ ხელისუფლებას ეშინია ჩვენი“. ამ ხმას ნიავისხელა შერხევის ეფექტის არ ჰქონია!..

და ბოლოს: გამოვიდა ეკრანზე ისიც, უცნაური ჭინთვებით შეპყრობილი სააკაშვილი, თვითონ რომ უცხოეთში „დაგულაობს“ და აქ ესენი შეატოვა ერთმანეთს განსაცდელში, რაც იმას ტრიბუნიდან გულში აგინეს იმდენი ცხონება ნაცების ბრძოლაში დაღუპულ თანაპარტიელებს. ილაპარაკა როგორც იცის: უსაბუთოდ, უსამართლოდ, ანგარიშგაუწევლად ყველას და ყველაფრის მიმართ, ჩვეული უხამსობითა და შურისძიების წყურვილით აღვსილმა.

**დამთავრდა მიტინგი. დარჩა ჩვენი მრავლისმნახველი „თავისუფლების მოედანი“ “ნაცების” მიერ მოტანილ ნამუსრევში და დამეუფლა მძაფრი სურვილი ამ ნაგვისგან ქვეყნის რაც შეიძლება მალე გაწმენდისა.**

**ელდარ ნადირაძე,**
პროფესორი,
ყოფილი პარლამენტარი

„**NATO** არის აგრესიული სამხედრო ბლოკი. არ მინდა, ჩემი ქვეყანა რომელიმე სამხედრო ბლოკში იყოს, იმიტომ, რომ მესამე, ბირთვული ომის კონტურები უკვე ცხადდება. ევროკავშირი არ არის სამხედრო ბლოკი, არც ევრაზიული კავშირი. ევრაზიული კავშირი ერთ-ერთი შესაძლებლობაა სადაც უფრო კარგად ვიქნებით.“ — თქვა გოგი თოფაძემ და ატყდა ერთი ალიაქოთი.

ცალკე „ძალიან მიშისტებმა“ დაიგლიჯეს სხეულზე ყველა ბანჯგვლი, ცალკე — „ოცნებისტებს“ გაეხეხათ ენის ფუძე იმის მტკიცებით, ეგ ერთი კაცის აზრია, ხელისუფლების კი არაო.

პარალელურად გავრცელდა ინიციატივა, რომ გადაიხედოს საქართველოს საგარეო კურსის მიმართულება და ჩატარდეს რეფერენდუმი რათა საქართველოს მოქალაქეებს მიეცეთ არჩევანის უფლება — **NATO**, ნეიტრალიტეტი თუ ევრაზიული კავშირი?

დამწვარს დამდუღვრაო — მთლად გადაირია „ნაცბანდა“ და გნებავთ, მასზე ავტომატურად მიბმული „ნაცსაზოგადოება“ და ფრთიანი ლიბერასტები, გნებავთ, ტყემლის ხეზე შერჩენილები.

კიდევ უარესი, აპრილის 23-24-ში ლუკაშენკო ჩამოდის თურმე კონკრეტული მისიით, პროპაგანდა უნდა გასწიოს და საქართველო ევრაზიულ კავშირში შეიყვანოს — ატყდებოდა გნიასი, აბა, არ ატყდებოდა?

**გოგი თოფაძის ნათქვამი, მხოლოდ ერთი კაცის ნათქვამი არ არის, რასაც, ალბათ, გაამყარებს მომავალი რეფერენდუმის შედეგი და ამიტომ გასცრათ ტანში დასავლეთიდან ნაკვებ ტიპიურ მედროვეებს.**

ასეა თუ ისე, დიდი ჯოხის გადატეხვა კონკრეტულად ბატონ თოფაძეზე მოინდომეს „დიდმა დემოკრატებმა“ და აი, რატომ — იმავე გოგი თოფაძემ, გარდა იმისა, რომ თქვა, „ნატოსგან“ ნახეირები ქვეყანა მე ჯერ ვიციო, ისიც თქვა, რომ ძალიან ბევრმა ქვეყანამ შეზღუდა „ნჯოები“ და ალბათ, ჩვენც ასე უნდა მოვიქცეთო. ჰოდა, თავიანთი აზრით, „ნაცბანდამ“ და მათმა იდეურმა მხარდამჭერებმა (რეალურად — თანამზრახველებმა) სხვა პარტიებიდან თუ სულაც



# „გოგი თოფაძემ ბოთლიდან ის ჯინი ამოუშვა, რომელსაც ხალხის ხმა ჰქვია...“

უპარტიოებმა, მაგრამ სულით „ნაცებმა“, საზოგადოების მცირე, „დაბოლებულ“ ნაწილთან ერთად მის წინააღმდეგ კამპანია წამოიწყო: „გამოვუცხადოთ ბოიკოტი თოფაძეს!“ აღნიშნული ჯგუფები თუ კონკრეტული პირები გოგი თოფაძის ფოტოსთან ერთად მისი კომპანიის წარმოებულ ლუდს წარწერით „არ იყიდო! არ გაამდიდრო პუტინის მონა!“ ავრცელებენ.

თოფაძისთვის გამოცხადებულ ბოიკოტს მყისვე მოჰყვა საპასუხო ბოიკოტი ცეზარ ჩოჩელის მისამართით სურათზე „ზედაზენის“ ლიმონათთან ერთად წარწერით „არ იყიდო! არ გაამდიდრო მიშას მონა!“ რასაც ბეჭდად არტყია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“. ცოტა უცნაურია, როცა ევრაზიული კავშირი პუტინთან არის გაიგივებული, **NATO** რატომ გაიგივდა მიშასთან? მაგრამ იქნებ სწორედ ეს გაიგივებაა ერთ-ერთი უმთავრესი საფუძველი იმისა, რომ „ნაცბანდასთან“ ერთად მასთან ასოცირებული ყველაფერი მოიძულა ხალხმა?

პოლიტიკურ მდინარებას რომ გავერიდოთ კოდური სიტყვებით ვისარგებლოთ, „ყაზბეგი“ თუ „ზედაზენი“, ანუ „ევრაზიული კავშირი“ თუ „ნატო“?

მისი უდიდებულესობა — ხალხი, ზოგი, ხუმრობის ხასიათზე დადგა, ზოგი — გაბრაზდა, ზოგი — შეშფოთდა ან აღშფოთდა, ისე, როგორც ასწავლეს:

„რეფერენდუმის საჭიროებას ვერ ვხედავ, ერთი საშუალო დონის მათემატიკოსი ერთ დღეში გამოაქვეყნებს რეფერენდუმის შედეგებს — რამდენი ლიტრა „ყაზბეგი“ ისმება საქართველოში გოგის განცხადების შემდეგ“

„ჩაუწვება ბიზნესი „ცეზარ მართალს“!

„ტყუილი თქვა თოფაძემ რამე? — მართალია ეს კაცი!“

„ნატო-ში კი არა, „მაკდონალდსში“ არ მიგვიღებენ!“

„როგორც იქნა, ერთმა მაინც გამოანათა ბნელეთში“.

„ვინც „ყაზბეგს“ დალევს, დაუძახებენ „ყაზბეგდალეულს“.

„თქვა კაცმა, ბოიკოტის შემდეგ 32%-ით მოიმატა გაყიდვებმაო. რა დაარეკლამა „ყაზბეგი?“

„ბებიკოები გიჭყავით ნაციონალებო! არ იყიდოთ, არ გაამდიდროთ სურენას ჯალათი ჩოჩელი! ვუცხადებ ბოიკოტს „ნაცანალი“ ზონდერი ჩოჩელის პროდუქცია „ზედაზენს“! „ყაზბეგი“ ეკოლოგიურად ყველაზე ჯანმრთელი პროდუქტია!“

„გადამრევენ ესენი! — შეეხვეწონ რუსეთს საქართველო რომ მიიღონ ევრაზიულ კავშირში. ვის უნდა მილიარდობით საგარეო ვალის მქონე უწიგნური, გალიბერალებულ-გაპიდარასტებული საქართველო?“

„ბედნიერ ქვეყანას ჰყავს ლუკაშენკოსნაირი ლიდერი. ყოჩაღ, „ბატკა“! კაცი, რომელსაც არ აინტერესებს გარდა მისი ქვეყნისა არაფერი. ჩვენი ხელისუფლებისგან განსხვავებით, თავისუფლად დაიკიდა ევროპა და ამერიკა...“

„ღმერთმა ხელი მოგვიმართოს და მიდი, ბატონო გოგი, შეუბერე, რახან ხმამაღლა თქვი, მომწიფებულა სალი აზრი!“

„ერთი მუჭა ქვეყანა ვართ, არ შეიძლება ვიღაცის საამებლად რუსეთის გინებაში ვიყოთ მუდმივად. ხალხის უმრავლესობას რუსეთთან კარგი ურთიერთობა უნდა. ვისაც არ სჯერა, ჩაატაროს გამჭვირვალე რეფერენდუმი და დარწმუნდება“

„ან ნატო-ს რაში სჭირდებით, ან — კატოს თქვე საცოდავებო! კაცი კაცს აღარ ჰგავს, ქალი — ქალს, ისეა ერი გასაცოდავებული... აბა, ნატო-ს კაცებო, წინ ჩაჯექით, მალე ჩახვალთ!“

„გაურკვეველი არსება ბერუჩაშვილი ვის უწოდებს ინდივიდებს, ინდივიდიც არის და ამებაც, გოგი თოფაძე კაცია!“

„ჩაატარონ რეფერენდუმი, რატომ ეშინიათ შედეგის?“

„საქართველოში ხომ სახელმწიფოებრივად მოაზროვნე კაცებს ყოველთვის მუცლით მოაზროვნეები სჭარბობენ ბევრად, ჰოდა, არჩევანში არიან გაჭედილები...“

„ჰეი, გახრწნილო კვაჭანტირაძევ! შე ჭია და მატლო, ეს შენ ხარ ნაბახუსევი და უკან ერთ ადგილას იქნები მისაყირწი, როცა ხალხის 65% თუ მეტი არა, ამ რეფერენდუმზე რუსეთთან ჩარჩო-ხელშეკრულების მომხრე იქნება. უკან გაიკეთე ეგ ე.წ „უკვე დაფიქსირებული ხალხის ნება“, შენც ამ ქვეყნის მტერი ხარ, შე ****-ო“

„ვინც რეფერენდუმის მომხრე არ არის, მარტივი პასუხია, არ აინტერესებს მოსახლეობის უმრავლესობის აზრი, რადგან გაშიფრული მოღალატეები და აფთრები არიან“.

„გოგი თოფაძემ ბოთლიდან ის ჯინი ამოუშვა, რომელსაც ხალხის ხმა ჰქვია...“

**გიორგი ჩხეიძე**







# მოსალოდნელია თუ არა საპარლამენტო გადატრიალება?!

**გრიგოლ გაგნიძე: ალასანია და „ნაცები“ მარგველაშვილის მხარდაჭერით მესამე პოლიტიკური ცენტრის შესაქმნელად ერთიანდებიან, რაც ქვეყანას ვადამდელი საპარლამენტო არჩევნებისკენ უბიძგებს.**

„საერთო გაზეთი“ უფლებადამცველ **გრიგოლ გაგნიძეს** ესაუბრა.

**— ბატონო გრიგოლ, დღეს ყველა, დიდი თუ პატარა, ნაციონალების 21 მარტის აქციაზე შეფასებებს აკეთებს, „მთავარმა ოპოზიციურმა ძალამ“ აქციაზე 12 ათასზე მეტი ადამიანის გამოყვანა ვერ შეძლო, ელოდით თუ არა ამ რაოდენობის ადამიანის ხილვას და თქვენ როგორ შეაფასებთ ნაცების მიერ გახმოვანებულ მთავარ პოლიტიკურ მესიჯებს?**

— დავიწყებ იმით, რომ „ნაციონალურ მოძრაობას“ არ აქვს მორალური უფლება აქცია მოაწყოს იმ ადგილას, სადაც ქართველი ხალხის სისხლი დაღვარა, თუმცა ისინი მორალისა და ზნეობისგან ძალიან შორს დგანან. აქ სამწუხარო ის არის, რომ მათ მხარდამჭერებს დღემდე სწამთ და სჯერათ, რომ ნაცების მმართველობის დროს, რაც ხდებოდა სწორი და აუცილებელი იყო ხალხის კეთილდღეობისა და ქვეყნის განვითარებისათვის.

ზოგადად „ნაციონალური მოძრაობის“ აქცია შეიძლება შეფასდეს ხელისუფლების მხრიდან ქვეყანაში დემოკრატიის მშენებლობისკენ გადადგმულ კიდევ ერთ ნაბიჯად. მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ვახტანგ გომელაურმა, განაცხადა. მომიტინგეთა კანონიერი უფლებები დაცული იქნებაო. ვფიქრობ, ხელისუფლების დიპლომატიურობამ და პრევენციულმა ნაბიჯებმა, იმან, რომ საზოგადოება და ეროვნული თუ საგარეო სადამკვირვებლო ორგანიზაციები დააკვირდებობდნენ ამ აქციას, დიდი როლი ითამაშა აქციის მიმდინარეობაზე. აქციამ რომ მშვიდობიანად ჩაიარა, ესეც ხელისუფლების დამსახურებაა, მაგრამ ამან მთავრობა თვითკმაყოფილებასა და თავის თავის ქებაში არ უნდა ჩააგდოს.

რაც შეეხება 12 ათასამდე მხარდამჭერის მობილიზებას, მინდა გითხრათ, რომ აქციაზე ასობით დამკვირვებელი იყო ხალხში გარეული, ასევე ათასობით პოლიციელი აკვირდებოდა პროცესებს, რათა პროვოკაციები არ მომხდარიყო. ასე რომ, მათი მხარდამჭერების რიცხვი ბევრად მცირეა. გარდა ამისა, ჩვენ აქციის წინა დღეებში რეგიონებიდან დაგვირეკეს და გვითხრეს, რომ საკრებულოებსა და გამგეობებში დარჩენილი თუ ჩანერგილი ნაცაქტივისტები ფარულად ხელს უწყობდნენ მომიტინგეების ორგანიზებას. ასევე აღმოჩნდა, რომ აქციაზე წამომსვლელებს 60 ლარს უხდიდნენ. ერთი სიტყვით, ესენი, როგორც ყოველთვის, ადამიანების ეკონომიკური გაჭირვებით მანიპულირებდნენ.



რაც შეეხება მათ მთავარ ოპოზიციურ ძალად გამოცხადებას, ვფიქრობ, ეს უფრო თვითშეძახილს ჰგავს, ვიდრე რეალობას. მართალია, ისინი მთავრობაში არ არიან, მაგრამ არც წასულან, თუ აქცენტს გავაკეთებთ მათ ფარულ მხარდამჭერებზე, ისინი აგრძელებენ ძველი მეთოდებით ადამიანების ფსიქიკაზე ძალადობას და ამით მიაჩნიათ თავი მთავარ ოპოზიციურ ძალად. საზოგადოებამ უნდა დაგასახელოს მთავარ ოპოზიციურ ძალად და არა თვითმარქვია შეძახილებით გააგრძელო ის ტენდენციები, რაც საერთოდ ახასიათებთ. ასე რომ, „მთავარი ოპოზიციური ძალის“ ნიშის დაკარგვის პერსპექტივა ძალიან დიდია.

**— თუ იცით, რეალურად, რა გეგმები ჰქონდა „ნაცმოძრაობას“ და რატომ შეცვალა? საუბარი იყო კიევური მაიდნის პროცესებზე, პროვოკაციებზე, უკრაინელ ბოევიკებზე და ა.შ. ახლა საუბარია იმაზე, რომ ნაცებს გეგმები ამერიკელებმა შეაცვლევინეს, მეორე ვერსიით კი ნაცების ერთმა ფრთამ ხალხისთვის განკუთვნილი ფული მოტეხა, რასაც შედეგად აქციაზე ხალხის მცირე რაოდენობის მობილიზება მოჰყვა...**

— ზუგდიდის ინციდენტის ფონზე, ჯოხებით თავები რომ დაუხეთქეს ერთმანეთს, გამოჩნდა, რომ „ნაცმოძრაობა“ მიდიოდა გარკვეული ესკალაციის მხარეს. ვფიქრობ, აქციამდე შს სამინისტროში შეხვედრამ ნაცების ლიდერებთან ნაცებს ამ ეტაპზე ხელი აალებინა რადიკალურ ქმედებებზე.

როგორც ვიცით, ნაცებს უნდოდათ 50 000 კაცის გამოყვანა, სააკაშვილმა ტელევიზიით განაცხადა, რომ 50 ათასი კაცია აქციაზეო. მაქვს ინფორმაცია, რომ მოქალაქეების გარკვეული ნაწილი მათ გადმოგდებულ 50-ლარიან საკენკზეც არ წავიდა. თუმცა 50 ათასიდან 12 ათასი რომ მოგდის, წარმოშობს ეჭვს, ნაცების ბანაკში ფარული დაპირისპირებაა, სოციალურ ქსელებში მათ კომენტარებს თუ გადავავლებთ თვალს, ქვეტექსტებში ამოვიკითხავთ, რომ მთლად კმაყოფილები არ არიან, ალბათ, 50 ათასი კაცის გამოყვანის ფული გამოაგზავნინეს სააკაშვილს და შეჭამეს, დიახ, შეჭამეს, იმის ნაცვლად, რომ ხალხი მიეყვანათ აქციაზე. დიახ, თავად შეჭამეს ბოკერია - მინაშვილებმა ეს ფული. ეს, ალბათ, იმის საკომპენსაციოდ, რომ მიშა უკრაინაში და ამერიკაში დადის და განცხრომაშია, ხოლო მინაშვილი და ბოკერია კი, საქართველოში პოლიტიკური აქტიურობის წინა პლანზე არიან. (იცინის). ვფიქრობ, ნაცები უფრო აგრესიულები საპარლამენტო არევნებზე იქნებიან.

**— ახლა ხელმოწერების შეგროვებას იწყებენ მთავრობის იმპიჩმენტისთვის...სხვათა შორის, ხუხაშვილმა აღნიშნა, რომ საპარლამენტო გადატრიალების შესაძლებლობა თეორიულად არსებობს. მეტიც, მისი თქმით, მთავრობისადმი უნდობლობის საკითხის გამოცხადებისა და იმპიჩმენტის პროცედური დაწყების გამო პოლიტიკური გაერთიანების შექმნაა მოსალოდნელი. უმრავლესობის ერთ-ერთმა დეპუტატმა ჩვენთან საუბრისას განაცხადა, რომ ხუხაშვილის ხელით იქმნება მესამე პოლიტიკური ცენტრი ხელისუფლების წინააღმდეგ.**



— ხუხაშვილის განცხადების ანალიზის მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ნაცებმა საკმარისი ხალხი ვერ შეკრიბეს ჩატარებულ ორ მიტინგზე და აპირებენ ხელისუფლებასთან პოლიტიკური დაპირისპირება პარლამენტში გადაიტანონ. თუმცა უმრავლესობას რამდენად გადასძლევს ნაცების მიერ ხელმოწერების შეგროვება, კითხვის ნიშნებს ბადებს. ამ ნაბიჯით ნაცებს და იმათ, ვინც მათთან გაერთიანდება პარლამენტში, სურთ ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისი გამოიწვიონ.

კონსტიტუციით მთავრობის მეთაური პრემიერ-მინისტრია. კონსტიტუციის მუხლი 79. 7 ნაწ.: თუ მაინც მოხდა მთავრობის წევრების გადადგომის ან განთავისუფლების შემთხვევა პრემიერ მინისტრი ორი კვირის ვადაში ნიშნავს მთავრობის წევრს. საქ. კონსტიტიციის მიხედვით, მუხლი 81 .პარლამენტი უფლებამოსილია უნდობლობა გამოუცხადოს მთავრობას. უნდობლობის საკითხის აღძვრის მოთხოვნით პარლამენტს უნდა მიმართოს სიით შემადგენლობის არანაკლებ ორმა მეხუთედმა. ამის შემდეგ, 25 დღის განმავლობაში, მას მხარი უნდა დაუჭიროს პარლამენტის სიით შემადგენლობის ნახევარზე მეტმა. მთავრობის გადაყენება თუ მიღწეული იქნა, დღის წესრიგში დადგება ახალი პრემიერ-მინისტრის წარდგენა პარლამენტის მიერ პრეზიდენტისთვის, პრეზიდენტი კი ნიშნავს პრემიერ მინისტრს (კონსტიტუციის 73-ე მუხლის გ ქვეპუნქტის მოთხოვნის შესაბამისად).

ანუ მივდივართ დასკვნამდე, რომ „ნაციონალურმა მოძრაობა“ ამჟამად ცდილობს მთავრობის გადაყენებით შექმნას პოლიტიკური კრიზისი. ალბათ, იმედი აქვთ, რომ მარგველაშვილი აჰყვება მათ ტაქტიკას, კონსტიტუციით მინიჭებულ ბერკეტებს ნაცმოძრაობის მხარდასაჭერად გამოიყენებს, ხელისუფლებას დაასუსტებს. აღნიშნულმა კრიზისმა დიდი ალბათობით შეიძლება გამოიწვიოს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები, მარგამ თუ მარგველაშვილი რადიკალურ თუ მზაკვრულ მეთოდებში აჰყვა ნაც მოძრაობას, აქვე კონსტიტუციით პარლამენტს შეუძლია მოითხოვოს პრეზიდენტის იმპიჩმენტი.

პოლიტიკური და საკონსტიტუციო ანალიზიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ნაცებს აქვთ ჩაფიქრებული და იკვეთება კიდეც სქემა, რომ მათ უნდათ გამოიწვიონ სამთავრობო კრიზისი, რაც გამოიწვევს ისევ პრეზიდენტსა და პარლამენტს შორის დაპირისპირებას. აღნიშნული პოლიტიკური კრიზისით და სავარაუდოდ, პრეზიდენტის დახმარებით უნდათ, რომ მართონ პოლიტიკური პროცესები. რაც გამოიწვევს სავარაუდო ქაოსს ქვეყანაში, ხოლო ყველაფრის ამის ფონზე სააკაშვილი შეეცდება ძალაუფლება დაიბრუნოს, სხვადასხვა ბერკეტებით, რომლებსაც სახელისუფლებო კრიზისის დროს სპონტანურად გამოიყენებს.

**ქეთი ხომერიკი**

**592 53 53 03**

# შოთა გლურჯიძე:

# იმაზე დიდი უზნეობა რა უნდა იყოს, როცა ივანიშვილის მიერ ნაჩუქარ „ჯიპში“ ზიხარ, ივანიშვილის მიერ ნაბოძებ სახელისუფლებო სავარძელში ნებივრობ და ივანიშვილს აგინებ...

„საერთო გაზეთის“ სტუმარია მხატვარი **შოთა გლურჯიძე:**

**— ბატონო შოთა, 21 მარტს „ნაციონალებმა“ მთავრობის გადადგომის მოთხოვნით აქცია გამართეს. რამდენად ჰქონდათ მათ ამის მორალური უფლება მას შემდეგ, რაც ქართველი ხალხი 9 წელი ჯოჯოხეთში გამოატარეს. ხელისუფლება უუნაროაო, ამბობენ. ხელისუფლება მართლაც უშვებს შეცდომებს, მაგრამ რა უნარები გამოამჟღავნეს თავად — ადამიანების კვლა და წამება?**

— ყველა ადამიანი თავად წყვეტს რისი უფლება აქვს და რისი — არა. თუმცა, ნებისმიერ თემაზე საუბრისგან შეზღუდული არავინაა. უბრალოდ, მერე, საუბარი არასერიოზულ სახეს იღებს იმის მიხედვით, თუ რამდენად წონადია პერსონა, რომელიც ამა თუ იმ საკითხზე საუბრობს. ანუ, მეც და აკაკი მინაშვილმაც შეიძლება, ერთიდაიგივე ფრაზა ვთქვათ, მაგრამ ორივეს სხვადასხვა წონა ჰქონდეს. როცა ადამიანი, რომლის ავტორიტეტიც საზოგადოებაში ძალიან დაბალია, რაღაც საკითხზე მეორეს მიუთითებს, თავად პრობლემა, უკვე, არასერიოზული ხდება. „ნაციონალების“ დასმული საკითხებიდან, შეიძლება, უმეტესობა ყურადღების ღირსია, მაგრამ ეს პერსონები იმდენად მარგინალიზირებულნი არიან, საზოგადოებას პრობლემის სიმწვავის დაჯერება უჭირს.

**— ერთი ჩემი რესპონდენტი როგორც ამბობდა, სააკაშვილი ყოფილი მესიაა, რომელსაც არანაირი მოლოდინი აღარ უკავშირდება. ბარბაროსა დაიხრჩო, მაგრამ გერმანიაში დღემდე გეტყვიან მღვიმეს, სადაც იგი გაიღვიძებს. „გაიღვიძებს“ თუ არა სააკაშვილი?**

— ადრეც მითქვამს, ეს „მანქანა“ ისეთ მდგომარეობაშია „პერემიშკებითაც“ ველარ დაქოქავ. მაგრამ, იცი რაშია საქმე? — ხელოვნური სუნთქვა, რომელსაც მას „ქართული ოცნების“ და ამერიკული პოლიტიკური ელიტის ნაწილი უტარებს, შეიძლება, ძალიან ცუდად დასრულდეს. იმიტომ, რომ ხელოვნური სუნთქვისას თუ პირს ძალიან ახლოს მიიტანენ, შეიძლება რაიმე ბაცილა გადმოედოთ და თავად დაიღუპონ. ანუ, ინფექციის გადმოდების პრობლემა გაჩნდეს. მათ ადგილას, ხელოვნურ სუნთქვას, თავს მოვარიდებდი. ეს ეხება „რესპუბლიკურ პარტიასაც“, რომელიც ასევე, უტარებს „ნაციონალებს“ ხელოვნურ სუნთქვას, რის გამოც, შეიძლება, თავად დაზიანდნენ.

**— 1 ოქტომბერს მოსახლეობის უდიდესმა ნაწილმა „ნაციონალებს“ უარი უთხრა. მათ უამრავი ცოდვა აქვთ ჩადენილი, თუმცა პასუხისმგებლობის, ხალხის განწყობის არ ეშინიათ და საკმაოდ თამამი განცხადებებით გამოდიან. რა არის ამის მიზეზი, ასე რამ შეაგულიანათ?**

— სამწუხაროდ, საქართველოში, კლასიკური პოლიტიკური პროცესები, როგორიც ევროპაშია, აღარ მიმდინარეობს. არსებული სატელიტი ჯგუფები, ძირითადად, გარედან ფინანსდებიან იმიტომ, რომ შიგნით, პოლიტიკის დასაფინანსებელი ფული, ქართველ კაცს არ აქვს. არ ვიცნობ პარტიას, რომელიც შემოწირულობებით არსებობს. რეალურად, ეს გარედან დაფინანსებული თანხებია. შესაბამისად, იმიტომაც ემთხვევა-ხოლმე ალასანიას, „რესპუბლიკელების“ და „ნაციონალების“ ტექსტები ერთმანეთს — ისინი დაფინანასებასთან ერთად, საჭირო ტექსტებსაც ერთი წყაროდან იღებენ. რეალურად, ჩვენი პოლიტიკური სპექტრი არ გვყავს და შესაბამისად, ქვეყანაც სუვერენული არაა. აი, მთავარი პრობლემა. ცოტა ხნის წინ, ხაბურძანიას და ოქრუაშვილის ჩანაწერები გამოქვეყნდა. აღმოჩნდა, რომ ყველანი იღებენ ფულს ამერიკელებისგანაც, ფსბ-განაც და ამ ბრალდებას პასუხს არავინ სცემს. გუბაზ სანიკიძე ვიცე-სპიკერია და მიკვირს, ყოველივე, უპასუხოდ რატომ დატოვა. ჩემზე რომ ეთქვათ ფსბ-დან 10 ათასი დოლარი გამოუგზავნესო, მიწიდან ამოვიღებდი. ანუ, ხედავ, რა ხდება? — გარედან დაფინანსება უკვე სირცხვილიც აღარაა. რეალურად, ეს ღალატს არ უდრის? ეს, ჩვენი საზოგადოების, ძალიან დიდი პრობლემაა, ზერელედ უყურებენ ამ ფაქტს — უი, მაკკეინი უგზავნის ფულს, მერე რა მოხდა. აი, ასეთი დამოკიდებულებაა ხალხში, რაც არ მესმის. ამას მირჩევნია ძალიან ღარიბი პარტიები გვყავდეს როგორც საქართველოს დამოუკიდებლობის პირველ ხანებში იყო.



**— თუმცა, „პატრონის“ უღელი დღეს არ დაგვიდგამს, 90-იანი წლებიდან მოყოლებული ამ წყვდიადიდან ვერ გამოვედით. ზვიად გამსახურდიამ დასავლეთს წინააღმდეგობა გაუწია — მკვდარი თევზივით ვერ გავყვები დინებასო და ეს რითაც დასრულდა ყველამ ვნახეთ.**

— ახლა, შანსი გაჩნდა, რადგან პოლიტიკაში მატერიალურად ძლიერი ადამიანი შემოვიდა. ზოგი მის ქველმოქმედებასაც კი აკრიტიკებს. ეს, იცი, დაახლოებით, რას ჰგავს? — სოფელში, შენს გვერდით მდიდარი მეზობელი გადმოვიდეს, დანგრეული გზა, რის გამოც შვილი სკოლაში ვერ დაგყავდა, გააკეთოს და შენ გინება დაუწყო — ეს გზა თავისთვის უნდოდა და იმიტომ გააკეთაო. ხომ დადიხარ ამ გზაზე, ხომ სარგებლობ, არა? იცი, კიდევ რა არ მესმის? — როგორ აგინებს ხალხის ის ნაწილი ბიძინა ივანიშვილს, რომლებიც აქამდე მისი ფრთის ქვეშ იყვნენ და ახლა გამოეყვნენ, თუნდაც, ირაკლი ალასანია. ჯერ ივანიშვილის ნაჩუქარი ჯიპიდან უნდა გადმოჯდე, მისგან ბოძებულ ყველა სიკეთეზე უარი თქვა, გამოხვიდე პარლამენტიდან, სადაც მისი წყალობით მოხვდი, ისე არავინ აგირჩევდა და მერე ილაპარაკო. ელემენტარული უმადურობაა, როცა მისი სიკეთეებით სარგებლობ, თუნდაც, დიპლომატიური პასპორტით, ხელფასით და ა.შ და თან მას აგინებ, ვინც ეს მოგცა. ჩვენთან, იდეოლოგია, არცერთ პარტიას არ აქვს. უბრალოდ, ყველამ „ნაციონალების“ ეპოქის დასასრულს მივეცით ხმა. ასე, აღმოჩნდა ეს ხალხი ივანიშვილის წყალობით პარლამენტში. კი ბატონო, არ ხარ მადლიერი? — გამოდი პარლამენტიდან და ისე ილაპარაკე. ეს აქტი რომ ჩაედინა, ვიტყოდი, ყოჩაღ, ირაკლი, სწორად მოიქეცი-მეთქი. ივანიშვილის ჯიპიდან არ უნდა ილაპარაკო. რა, დღეს საქართველოში, ბიძინა ივანიშვილია პრობლემა? გაიძახიან, გავლენა აქვს მთავრობაზეო. ესაა პრობლემა? შენც იმოძრავე მის შეკეთებულ გზაზე, გადაადგილდი და შენც შექმენი რამე. მან ხომ შექმნა, ხომ არ წაურთმევია? ჯიპიც არ წაგართვა, მასში ხომ ისევ ზიხარ? მთავარი ტრენდი ივანიშვილის გინებაა? დაივიწყეთ ივანიშვილი და საქმეს მიხედეთ.

**— სანამ ამას შევძლებთ, მანამ ფრანსუა ნორლანდი მოგვიწოდებს, არ ვინერვიულოთ, თურმე უგულავას და სხვებს მალე გაათავისუფლებს. ამას ასე პირდაღებულებმა უნდა ვუსმინოთ?**

— მას, ამის ლაპარაკის უფლება აქვს იმიტომ, რომ იგი ჩამოდის ხალხთან, რომელიც ჯიბეში უზის, რომელსაც ყოველთვე უხდის ხელფასს. ამიტომაც, ვთქვი, პოლიტიკური სპექტრი ჩვენ უნდა შევქმნათ, თავად უნდა დავაფინანსოთ და არა ამერიკის რომელიმე ფონდმა. პრინციპში, დღეს, ამის საშუალება გაჩნდა იმ თვალსაზრისით, რომ იგივე, „ქართული ოცნება“ ამ გავლენას არ განიცდის, იგი ქართველი კაცის დაფინანასებულია. ეს კარგი საწყისი პოზიციაა, რომელსაც განვითარება, სწორი მიდგომა სჭირდება. ივანიშვილს არჩევანი არ ჰქონდა, პოლიტიკური სპექტრი იმ ბანდიდან აირჩია, რაც დახვდა. მაგრამ, მათ ბიძინასგანაც აიღეს ფული, ამერიკელებისგანაც იღებენ და რუსებისგანაც. სინდის-ნამუსი საერთოდ არ აქვთ.

**— ამერიკა ქართველ ხალხს არც კი ეკითხება ისე მოქმედებს — ხან მაილსი გვიწყობს „ვარდების რევოლუციას“, ხან ბასი — 26 მაისს, ამ წრიდან აღარ უნდა გამოვიდეთ?**

— მათ თანხა გადაიხადეს და უფლება აქვთ რაც უნდათ, ის აკეთონ. ხაბურძანიამ ხომ თქვა — რუსებსაც გადახდილი აქვთ და ამერიკელებსაც. ჩვენი პოლიტიკოსები ფულს ყველასგან იღებენ — თურქებისგანაც, აზერბაიჯანელებისგანაც, სომხებისგანაც. ამათგან რა უნდა გამოვიდეს? — სასწრაფოდ, უკლებლივ ყველა, უნდა დავითხოვოთ. ამიტომ, ქვეყნის ნამდვილ პატრიოტებს: მე, ბატონ ვახტანგს, ნიკუშა შენგელაიას, ზაზა შათირიშვილს უნდა დაგვიჯერონ, ხალხს, რომელსაც სხვა მატერიალური ინტერესი არ გვაქვს. საქართველოს ჰყავს ინტელიგენცია, რომელსაც თავისი ქვეყნის სიკეთის გარდა სხვა არაფერი აინტერესებს. სწორედ, ჩვენ უნდა გავუშვათ ყველანი პენსიაში. ვგულისხმობ, მთლიან პოლიტიკურ სპექტრს. ისინი, ყველანი, მოსაცილებელნი არიან, რამდენიმე კაცის გარდა, რომელიც აქამდე, პოლიტიკაში არ იყო. მაგალითად, ვანო კილურაძე, რომელიც პატივისცემის და სიყვარულის გარდა, არაფერს იმსახურებს. აი, ასეთი წესიერი ხალხი დავტოვოთ და პროფესიონალი პოლიტიკოსები ჩქარა მოვიცილოთ.

**— პრობლემა საზოგადოებაშიც ხომ არ არის? თავის დროზე, აშშ მუბარაქს უჭერდა მხარს, მერე კი ხალხის მხარეს დადგა. ჩვენ რატომ ვერ მოვიპოვეთ მათი მხარდაჭერა?**

— ერთი პრობლემაც არის, მეგობარი მეუბნება, „სტაიანშიკისა“ და „ტაქსისტისგან“ გავიგე, ცუდადაა საქმეო. ისინი ხომ მთელი დღე იმ რადიოს უსმენენ, რომელსაც ვიღაც ბიძია აფინანსებს და იმას ალაპარაკებს, რაც სურს. რეალურად, ეს ყველაფერი იმართება. აქ, დიდი იარაღია მედია, რომელიც ისევ არ გვეკუთვნის. რეალურად, მედიაც ფინანასდება. ესეც, უკვე მეორე პრობლემა. პროფესიონალ პოლიტიკოსებზე, ამ უნამუსო ხალხის მოცილებაზე უკვე გესაუბრეთ. მედიაც უნდა გათავისუფლდეს.



იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი



წელან მკითხეთ, ქართველ ხალხს რატომ არ გვეკითხებიან, რა გვინდაო. როგორ უნდა გვკითხონ, როცა ქართველ ხალხს იმის ფულიც არ აქვს, რომ სახლში პური მიიტანოს. არასამთავრობო ორგანიზაციას კი არა, სიდედრს, ცოლ-შვილს ვერ აფინანსებენ. იცი, რამხელა ხელფასი აქვს კაპიტან გიგაურ გრანტს? —აქ ვინ გადაუხდის მაგდენს. ეს, მხოლოდ, ძალიან დიდ ქვეყნებს შეუძლიათ — ჩინეთს, რუსეთს, ამერიკას. ეს არასამთავრობოებიც ვინც ფულს უხდის, იმათზე მუშაობენ. თუ გგონიათ ესენი, ყველა ამერიკის აგენტურაა, ცდებით, არანაირად —ვინც გადაუხდის, მათი იქნებიან. როგორც გითხარი, ხსნა არსებობს — ეს ე.წ. პოლიტიკოსები, ანუ პოლიტიკური სპეკულიანტები მაქსიმალურად უნდა მოვიცილოთ.

**— რაც შეეხება ჩვენს კურსს — გზას ევროპისკენ, ევროპამ ძველი ხელისუფლების უმსგავსობებს, არაერთხელ დაუჭირა მხარი. როგორი ევროპაა ჩვენთვის მისაღები?**

— ჩემთვის ძველი ევროპაა მისაღები, სადაც ერთიანდება იტალია, საფრანგეთი, გერმანია, ნაწილობრივ ჰოლანდიაც. ახალშემოერთებული ქვეყნები ამერიკის სატელიტები არიან — პოლონეთი, რუმინეთი, ბულგარეთი, ესტონეთი, ლიტვა, ლატვია. ეს ქვეყნები ისეთივე მარიონეტულია, როგორიც დღეს საქართველოა. ისინი ევროპული ღირებულების ქვეყნები არ არიან. ევროპა, ძველ ევროპაში, კიდევ არის შენარჩუნებული, თუმცა იქაც, ღირებულებების კოროზიის, დაშლის პროცესი დაწყებულია. ახლა, ისეთი სიტუაციაა შეიძლება, ევროკავშირი დაიშალოს, საბერძნეთიც გადის. ევროკავშირში შესვლა კი არაა მიზანი, არამედ საქართველო თავის ნამდვილ სახეს დაუბრუნდეს. საქართველო, რა თქმა უნდა, ევროპაა იმიტომ, რომ პირველ რიგში, ქრისტიანული ცივილიზაციაა. ანუ, იგი ქრისტიანობას უნდა დაუბრუნდეს. ამ დროისთვის, დაგვხვდება თუ არა ევროკავშირი, მნიშვნელობა არ აქვს, ჩვენ შევეცადოთ ქრისტიანები გავხდეთ. ქრისტიანობაში ფასეულობას ვგულისხმობ და არა რელიგიურ მიმდევრობას. ანუ, შეიძლება ათეისტი იყო, მაგრამ ქრისტიანულ ფასეულობას იზიარებდე. რაც შეეხება, ამერიკის სატელიტი ქვეყნების გაერთიანებას, ეს ევროპა არაა. მაგალითად, რუმინეთს გარკვეული შეზღუდვები დაუწესეს. როგორ გამოდის რუმინეთი თანაბარი პარტნიორი, როცა იგი იმავე უფლებებით არ სარგებლობს, როგორც ვთქვათ, ფრანგები ან გერმანელები. ანუ, რეალურად, დღეს ევროკავშირი თანაბარუფლებიან ქვეყანათა კავშირი არაა. რუმინელები და სხვები, ვინც ზემოთ ჩამოვთვალე, აქ ძალითაა შეტენილი. შეიძლება, ამ ქვეყნების ტრაგედიაც, როგორც ჩვენი, სწორედ ესაა. რაც შეეხება აშშ-ს, მას ძალიან გამოკვეთილი ინტერესები აქვს. ამერიკელები, რუსებისგან განსხვავებით, უფრო დახვეწილ მეთოდებს იყენებენ და წარმატებებსაც აღწევენ. მაგალითად, მათ, ცოტა ხნის წინ უკრაინა ორად გაყვეს, მანამდე — სამად საქართველო, ხუთად — იუგოსლავია. ეს კონკრეტული წარმატებებია, რომელსაც აშშ-მ ევროპაში მიაღწია.

**— წელან, სამოქალაქო საზოგადოებად ჩამოყალიბების პრობლემაზე ვსაუბრობდით. ქართველი საზოგადოების მთავარი პრობლემა ისიც ხომ არაა, რომ სამართლებრივ სახელმწიფოში არ ვცხოვრობთ?**

— იცი, რა, გლობალურად, პროცესების მაინც კმაყოფილი ვარ. რეალურად, რა ხდება? — ქვეყანამ, რომელმაც ჯერ რუსეთის იმპერიის უღელი, მერე, აბსოლუტურად საშინელი გარემო — საბჭოთა კავშირი გამოიარა, მაინც გამოძვრა და საზოგადოების შექმნისკენ ნაბიჯების გადადგმა დაიწყო. ქართველებმა, თურქმენებისგან და სხვათა განსხვავებით, შეძლეს ძალადობისთვის წინააღმდეგობა გაეწიათ, რასაც რუსეთში ვერ ვხედავ. იქ, საშინელი კრიმინალია, თითქმის მთელი ინტელიგენცია უკანა თათებზეა წამომართული, მხოლოდ ძალიან ცოტა ადამიანი აპროტესტებს ან რაღაც პოზიციას გამოხატავს. საქართველოში ეს ძალიან ღიად ხდებოდა. ბევრ რამეში ქართველებს უფრო წინ დავაყენებდი, ვიდრე რუსებს. ჩვენთან, არსებობს ხალხი, რომელიც კონიუნქტურით არ იმართება და შეუძლია, რაღაც სიტუაციაში, საკუთარი თავი გაწიროს. ქვეყანას, რომელსაც ასეთი ხალხი ჰყავს, დაღუპვა არ უწერია. თუნდაც, ასეთი გამორჩეული ხალხი ცოტა იყოს.

**— ბატონო შოთა, ხელისუფლების მიმართ მთავარი უკმაყოფილება, პირველ რიგში, სამართლიანობის აღდგენის შეფერხებას უკავშირდება...**

— რა სამართლიანობის აღდგენაზე საუბრობენ, ვერ ვხვდები. სამართლიანობა აღდგება, როცა ნორმალური ქვეყანა გავხდებით. ქონების დაბრუნება-არდაბრუნებაა სამართლიანობის აღდგენა? მეც წამართვეს თეატრი, მაგრამ არ ვდარდობ. საზოგადოება, ერი თუ ვიქნებით, სამართლიანობა მაშინ აღდგება და არა კონკრეტული ქეისებით — დაუბრუნდება თუ არა ვიღაც კონკრეტულ ბიზნესმენს ქონება. სამართლიანობის აღდგენას, გლობალურად, საქართველოს გამარჯვებაში ვხედავ. ქართველი ხალხი ნორმალური ცხოვრების ღირსია, ესაა სამართლიანობა. იმიტომ, რომ მას იმ პრინციპებისთვის არ უღალატია, რომელსაც 2 ათასი წელია მისდევს, ესაა ქრისტიანობა. დიახ, სამართლიანობა უნდა აღდგეს და ქართველმა ხალხმა ნორმალურად იცხოვროს.

**— საზოგადოების დიდი ნაწილი „ნაციონალების“ მოღვაწეობას ფაშისტურ რეჟიმს ადარებს. როგორ ფიქრობთ უნდა აიკრძალოს თუ არა იგი, როგორც პოლიტიკური პარტია?**

— ფაშისტებამდე ვერ ქაჩავენ. ამას პროვინციელი ავადმყოფების რეჟიმს დავარქმევდი. ფაშიზმი ძალიან სერიოზული იდეოლოგია იყო. მიშას ვერც გებელსს შევადარებ და ვერც ჰიტლერს, იგი გაცილებით ნაკლები მნიშვნელობის ფიგურაა.

მოდი, მთავარ პრობლემებზე ვისაუბროთ — როგორ გამოვკვებოთ პენსიონერები, ვარჩინოთ ოჯახები, როგორ შევქმნათ ისეთი პოლიტიკური სპექტრი, რომელიც გარედან არ დაფინანსდება და ჩვენ, თავად დავაფინანსებთ, როგორ შევქმნათ თავისუფალი მედია. ანუ, იმაზე ვიფიქროთ, როგორ გავხდეთ დამოუკიდებელი, სუვერენული ქვეყანა, ერი. როგორ გავხდეთ საქართველო. გავიხსენოთ, როგორ იბრძოდნენ ამისთვის ჩვენი წინაპრები — კოტე აფხაზი, იასონ კერესელიძე (ჩემი დიდი ბებიის ძმა), ის 24 ვაჟკაცი, რომლებიც სიმღერით მიაბიჯებდნენ და დახვრიტეს. ეს, ახლაც ჩვენი, საზოგადოების გასაკეთებელია.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

## ნოდარ ხადური „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ კვალიფიკაციას უწუნებს



ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ თანამშრომლებს კვალიფიკაციას უწუნებს და ტრენინგ კურსებზე ეპატიჟება.

როგორც ხადურმა ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, უწყების ვებგვერდზე ბიუჯეტის დეფიციტის სწორი მაჩვენებელი დევს და სამინისტრო მის შეცვლას არ აპირებს.

„მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებლი გუშინ თუ გუშინწინ დაზუსტდა. 80 მილიონი არ იქნა მიმართული და 80 მილიონი საგადასახადო შემოსავალი, რომელიც ბიუჯეტში არ იქნა მიმართული, მიიმართა დაბრუნების ქვეანგარიშზე კანონის შესაბამისად, და მიუხედავად ამისა, ბიუჯეტი გადაჭარბებით შესრულდა. ამიტომ, მე ვფიქრობ, ცოტა მეტი პროფესიონალიზმი რომ გამოიჩინონ ადამიანებმა, რომლებსაც აქვთ პრეტენზია, გააკეთონ განცხადებები, ცუდი არ იქნება. ისე, მე ვთავაზობ ყველა ორგანიზაციას, ვისაც ამის სურვილი აქვს, ფინანსთა სამინისტროს აკადემიაში გაიარონ კვალიფიკაციის ამაღლების კურსები“, - განაცხადა ნოდარ ხადურმა.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველო“ ფინანსთა სამინისტროს მოუწოდებს, დეფიციტის შესახებ ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია დაუყოვნებლივ გაასწოროს და საზოგადოებას რამდენიმე დღის განმავლობაში მისი სამჯერ შეცვლის მიზეზები განუმარტოს.

## გიორგი კვირიკაშვილი: ლარის გამყარება შესაძლებელია



ეკონომიკის მინისტრის, გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, ლარის გამყარება შესაძლებელია.

როგორც მინისტრმა ჟურნალისტებს განუცხადა, ზაფხულში მთავრობა დიდი ოდენობით უცხოური ვალუტის შემოდინებას ელოდება.

„რაც შეეხება იმას, შეიძლება თუ არა ლარი გამყარდეს - ეს შესაძლებელია. თან ზაფხულის პერიოდში ჩვენ ველოდებით უცხოური ვალუტის საკმაოდ დიდ შემოდინებებს. შემდგომში უკვე ეროვნული ბანკის განსასაზღვრი იქნება, ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლის მიღწევისთვის რამდენად გაამყარებს ის კურსს, თუ შეიძენს ჭარბ ვალუტას. რაც მთავარია, ჩვენ ველოდებით, რომ უცხოური ვალუტის შემოდინება გაიზრდება და ეს მოხდება უკვე აპრილის თვიდან,“ - აღნიშნა კვირიკაშვილმა.

## მურმან დუმბაძე პარლამენტში „ქართული ოცნებიდან“ ახალი ფრაქციის შექმნას ვარაუდობს



პარლამენტის ვიცე — სპიკერი მურმან დუმბაძე ვარაუდობს, პარლამენტში ახლო მომავალში „ქართული ოცნებიდან“ ახალი ფრაქცია შექმნას.

„მე არ შემიძლია გვარი და სახელი დაგისახელოთ, მაგრამ კულუარულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მგონია, რომ საქართველოს პარლამენტში უახლოეს მომავალში კოალიცია „ქართული ოცნებიდან“ ახალი ფრაქცია შეიქმნება. იმიტომ, რომ კოალიციაში შემავალი მოაზროვნე ადამიანების დიდი ნაწილი დღეს ზუსტად იმავე პოზიციაზე დგას, რა პოზიციაზეც მე ვარ. მე კი მიმაჩნია, რომ ცენტრალური თუ მისი ადგილობრივი მთავრობები უკიდურესად არაეფექტურია და მათი გადაყენება და შეცვლა საქართველოს მოსახლეობასაც და ამ ხელისუფლებასაც უფრო წაადგება“,- განაცხადა მურმან დუმბაძემ.

# რამდენი „ძუკნის“ შვილია ერთდროულად სააკაშვილი?

ცნობილი გამოთქმაა, „ის ძუკნის შვილია, მაგრამ ჩვენი ძუკნის შვილია!“

ძუკნის შვილი ძუკნის შვილად, მაგრამ რამდენი „ძუკნის“ შვილია ერთდროულად ერთი სააკაშვილი, აი, ეს ჯერჯერობით ვერც ქართველებმა დაადგინეს და ვერც უკრაინელებმა.

მერე, რა, რომ რუსული მედია მასხრად იგდებს სააკაშვილს; მერე, რა, რომ რუსეთის მთავრობის ვიცე-პრემიერი დიმიტრი რაგოზინი ამბობს, სააკაშვილი იდიოტად დაიბადა და იდიოტად მოკვდებაო და ა.შ ერთი მხრიდან აშშ უსველებს გასაღვივებლად საარსებო ნიადაგს, მეორე მხრიდან რუსეთი, ისევე, როგორც სხვა საბჭოთა ნაყოფის თესლებს მეტ-ნაკლები შემწეობით.

თუ გახელილი თვალით დავაკვირდებით, საქმე იმაში მდგომარეობს, რომ ის „ძალიან დემოკრატები“, საქართველოშიც და უკრაინაშიც (სხვაგანაც) მხოლოდ რუსეთისთვის მომგებიან საქმეს აკეთებენ და სხვას არაფერს. ხილული ნიმუშია, აფხაზეთი და სამაჩაბლო ისე მიაჩეჩეს რუსეთს, როგორც ახლახანს ყირიმი და კიდევ იარაღით ვაჭრობაშია ჩაბმული „სააკაშვილი და კამპანია“, რომ ყირიმთან მისასვლელი გამყარებული სახმელეთო დერეფანიც შეატენოს. (რაღაც, ისე გამოდის, თითქოს რუსეთსა და აშშ-ს შეთანხმება ჰქონდეთ, ალაფი — ჩვენ, ტერიტორიები — თქვენ, აბა, ტერიტორიებს ოკეანის გაღმა ხომ ვერ წავიღებთო)

ვამბობთ — სააკაშვილი, იგულისხმება მთელი მისი ბანდა, რომელთაგან, ზოგიერთი ისეთი ბაიყუშია, ისიც შეიძლება ვიფიქროთ, რომ აზრზეც არ არის რას გაჰყვირის, მთავარია მიშაზეა მიერთებული...

სააკაშვილმა დაარეხვა: თუ უკრაინელ ჯარისკაცებს მისცემენ იარაღს, ისინი შეძლებენ მთელი რუსეთის ხელში ჩაგდებასო და აჰყვნენ ქართულ-ამერიკულ-რუსულ-უკრაინული ნაზავის ბანდის წევრები.

ნატო-ს არ შესწევს ძალა რუსეთს ეომოსო; ევროპას რუსეთთან ომი არ უნდაო... ნატო-ს ძალების მთავარსარდალი ევროპაში ფილიპ ბრიდლავი ამბობს, რუსეთს ისეთი არმია ჰყავს, სულ რაღაც რამდენიმე დღეში შეძლებს დაიპყროს სრულიად უკრაინა, რა თქმა უნდა, თუკი ამის სურვილი ექნებაო, სააკაშვილი კი უკრაინის მთავარსარდლობას ჩემულობს და ომის მოგებას უპირებს რუსეთს... ჰაიჰაი, რომ პირიქით, რუსეთს (და საკუთარ ფინანსებს) უწყობს ხელს...

რა თქმა უნდა, საერთაშორისო მასშტაბით იარაღით ვაჭრობაში მრავალგზის ეჭვმიტანილ თემურ ალასანიას „კგბ-ის“ ოფიცერსა და აშშ-ის „ომის პარტიის“ თანამოაზრე დის შვილს, ომი და გადატრიალებები უნდა აწყობდეს ყოველმხრივ და ყველგან, სადაც მისი ორი ბატონის ინტერესები იქნება... ორი ბატონის მსახურები, გუშინდელი „ახალგაზრდა რეფორმატორები“, დღეს „ნაცმოძრაობა“, ხომ სწორედ ორი ბატონის მონაცვლეობითი მსახურებით გამოიშალნენ საქართველოს დამაქცევრად...

2003 წელს ივანოვი რომ ჩამოვიდა თბილისში, მაშინ ბევრმა ვერ გაიგო რა შუაში იყო რუსეთი; ვერც მაშინ, როცა კოდორის (დალის) ხეობას სახელი გადაერქვა და „ზემო აფხაზეთი“ დაერქვა; ვერც 2008 წლის აგვისტოში, როცა სააკაშვილმა კონსტიტუციური წესრიგის აღდგენის მოტივით დაწყებული სვლით საქართველოს ტერიტორიის მეხუთედი დაუკანონა რუსეთს... ვერ გაიგეს, რადგან ზოგს არც უნდოდა გაგება, ზოგმა კი დასავლურ მანტიაში გახვეული „რუსეთის კაცები“ ვერ იცნეს, ვერ წარმოიდგინეს ასეთი აფერა...



2003 წელს საქართველო რომ უკვე დასაგლეჯად დაუბევეს რუსეთს, შემდეგ უკრაინას შეუსიეს და იგივე სცენარი გაითამაშეს 2004 წელს, თუმცა მიზეზთა გამო მთლად ვერ იმარჯვეს. ისენი ხომ იგივე ქართველი ე.წ სახეები იყვნენ, რომლებიც ახლა, 2014 წელსაც განმეორდნენ, ანუ ეს იყო წლების წინ დაწერილი გეგმა ერთი და იმავე პირთა ჯგუფის მიერ. აძახებინეს მათსავე მსგავსად იმავე ლაბორატორიაში გამოზრდილ ვირთხებს „ნატო“ და „ევროკავშირი“ და საქართველოს მსგავსად, ახლა უკრაინამ დაკარგა რუსეთის სასარგებლოდ გვარიანი ტერიტორია. ჯერ კიდევ არ დასრულებულა გლეჯვის პროცესი, რადგან უკრაინა ბევრად დიდია საქართველოზე და ბევრად მეტი რამ აქვს წასაგლეჯგასაძარცვი და ბევრად მეტი მოსახლეობაა, ანუ სისხლიც მეტია დასაღვრელი. ხალხი კითხულობს, რომ ამბობდნენ, საქართველოს ბედი მაიდანზე წყდებაო და რაღაც გამარჯვებას ზეიმობდნენ, რა ჩემი შაშა-კოლა გაიმარჯვეს თუ რუსეთის რეზიდენტები არ არიანო?

საქართველომაც და უკრაინამაც იცოდა, რომ ნატო-ს კარი 2008 წლის აპრილიდან ღია იყო, თუმცა მაინც „რატომღაც“ ვერ ვეტეოდით და ახლა რაღა გაგვატევს, როცა კატეგორიულად განაცხადა ფრანსუა ოლანდმა, ნატო-ს გაფართოება არ იგეგმებაო; საქართველოსა და უკრაინას ნატო-ში ვერ (არ) მივიღებთო? ნეტავ, რას მიედ-მოედებიან ვიღაც-ვიღაცები როგორც საქართველოში, ისე უკრაინაში?

თუმცა, ქართველებისგან განსხვავებით უკრაინელები უფრო დაკვირვებულები, ან მეტად ეროვნულები აღმოჩდნენ, ძალიან მალე გაუჩნდათ ეჭვი, რომ მიხეილ სააკაშვილი (და მისი გუნდი) რუსეთის დავალებებს ასრულებს და პეტრო პოროშენკოც (უკრაინის) წინააღმდეგ მოქმედებს. რა თქმა უნდა, როგორც თავის დროზე საქართველოში, ახლა უკრაინაშიც დაიბნენ, ვეღარ იგებენ, როგორ არის ეს ამბავი, რუსეთის მტერი სააკაშვილი და რუსეთის მტერი აშშ რანაირად შეიძლება რუსეთის საქმეს აკეთებდნენო?



თურმე, შეიძლება! ყოველ შემთხვევაში, ასეთი აზრი მას შემდეგ გაუჩნდა იმავე გროისმანს, რაც, (რა თქმა უნდა, სააკაშვილთან შეთანხმებით) გია გეწაძემ და დავით საყვარელიძემ უკრაინაში კორუფციის აღმოსაფხვრელად კონკრეტული ნაბიჯები, ანუ დაჭერების სეზონი დაგეგმეს. თავდაცვის, ეკონომიკის, ინფრასტრუქტურის, მძიმე მრეწველობის, შსს-ს წამყვანი პირები, მინისტრის მოადგილეები, დეპარტამენტებისა და სამმართველოს უფროსები, რამდენიმე ქალაქის მერი, გუბერნატორი და ვიცე-გუბერნატორი მოხვდნენ დასაჭერთა სიაში. ცხადია, პოროშენკომ რადას თავმჯომარეს უჩვენა სია და გროისმანმაც დაასკვნა — ვინაიდან სააკაშვილი უკრაინის პრეზიდენტის ერთგული ხალხის დაჭერას აპირებს, ანუ უნდა, რომ ულალატო ხალხი ჩამოაცილოს, ეჭვგარეშეა, სააკაშვილი რუსეთის რეზიდენტია, ორმაგ თამაშს თამაშობს, საქმით რუსეთისაა, სიტყვით აშშ-ისო. ბუნებრივია, თუ ვინმე დასაჭერია, ამას პროკურატურა წყვეტს მტკიცებულებების საფუძველზე და არა პრეზიდენტის უცხოელი და ძებნილი მრჩეველი, რომელიც ასევე სხვა უცხო ქვეყნის ძალდატანებით გაუხდა მრჩევლად უკრაინის პრეზიდენტს...

კიევში „მემარჯვენე სექტორმა“ მთავრობის უცხოელებისგან (ქართველებისგან) გაწმენდა მოითხოვა. ვლადიმერ ზაგაზეიმ პირდაპირ თქვა ის, რასაც ფიქრობენ უკრაინელები — უკრაინას არ უნდა ხელმძღვანელობდნენ უცხოელები!

საინტერესოა, აღნიშნული სია რეალურად საიდან იღებს სათავეს, რუსეთიდან თუ აშშ-იდან?

თუ ე.წ „ფერადი რევოლუციებით“ იმსჯელებენ უკრაინელები, სია აშშ-ში შეუდგენიათ, ხოლო თუ სააკაშვილის სანათესავო ინტერესებით — რუსეთში, მითუმეტეს, რომ სააკაშვილს პუტინის პატიოსნებასა და სანდოობაზე აბოდებდა. 2004 წელს გაზეთ „იზვესტაის“ ისიც კი განუცხადა, ახლა ჩვენ ნებისმიერ გადადგმულ ნაბიჯზე რუსეთს წინასწარ ეცოდინებაო; საკითხის ასე დასმა: ან რუსეთი, ან — დასავლეთი, საერთოდ არ შეიძლებაო...

იგივე სააკაშვილმა ფოხ ნეწს –ს განუცხადა, აშშ-მა დროულად უნდა შეაიარაღოს უკრაინა, წინააღმდეგ შემთხვევაში რუსული ტანკები მალე უკრაინაში იქნება და პუტინს ვერაფერი შეაჩერებს, რადგან მისი საბოლოო მიზანი აშშ-ის განადგურებაა“.

რა აბდაუბდას მიედ-მიედება სააკაშვილი, ერთია, მეორეა, რომ „ვიღაცისთვის“ მნიშვნელოვან პირთა დაჭერების საკითხში პოროშენკო ვერ „შეიკერა“!

ამ ფონზე საინტერესოა უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრის პაველ კლიმკინის სიტყვები, რომლებიც უპირველესად, ქართველ „ხისთავიანებს“ ეხება („ზერკალო ნედელი“ 27 თებერვალი): — „ვინ დაეხმარება მილიონობით ჩვენ თანამემამულეს, რომლებიც რუსეთში იმყოფებიან? ვინ იზრუნებს რუსეთთან ეკონომიკური კავშირების თაობაზე, როდესაც ეს კავშირები არსებითად კი დასუსტდა, მაგრამ ამ უაღრესად რთულ დროს ძალზე მნიშვნელოვანია უკრაინის ეკონომიკის მრავალი საწარმოსთვის?“

უკრაინამ ყირიმი უკვე დაკარგა და დღესაც მიმდინარეობს სისხლისღვრა, მაგრამ რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობა დღემდე არ გაუწყვეტია და პოროშენკო მომენტს არ უშვებს პუტინს დაელაპარაკოს...

საქართველოს მოქალაქეები რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობის წინააღმდეგი არ არიან, წინააღმდეგი ის სავარძელში მოკალათებული (ზოგი, უსავარძლოდ დარჩენილი) პირები არიან, რომელთა ერთ ნაწილს საბჭოთა „კგბ-ს ვერბოვკისგან“ განთავისუფლებულად მიაჩნია თავი და რაღაცების „დახლზე დადებას“ უფრთხის; მეორე ნაწილს — ფარული გარიგებებით ფულის ჭრა მოეშლება; მესამეს — რუსეთის ციხის ხეხვა მოუწევს და ა.შ — ბევრი „ნაწილია“...

**გიორგი ჩხეიძე**

## პეტრე მამრაძე:

# სააკაშვილს არც ამერიკის მხრიდან, არც ევროპის წამყვანი სახელმწიფოებისგან მხარდაჭერა არ აქვს!



**ვესაუბრებით სტრატეგიული კვლევების ცენტრის ხელმძღვანელს ბატონ პეტრე მამრაძეს**

**— ბატონო პეტრე, თუ საპროტესტო აქციებს პერმანენტული ხასიათი ექნება, ხომ არ შეიძლება ლიდერი ნელნელა გამოიკვეთოს?**

— ამ ეტაპზე პერმანენტულ აქციებს ნაცები ვერ მოაწყობენ, ამის რესურსი არ გააჩნიათ, რთულია, თუმცა, ასევე ფიქრობენ, რომ ხელისუფლება ამ პროცესებში დაუშვებს შეცდომებს, გადავა რეპრესიებზე ან დაარბევენ ხალხს, ახსოვთ 2007 წელი. ამიტომ თუ შეცდომას არ დაუშვებენ, გაწბილდებიან. თუმცა, მინდა ვთქვა, თუ ეკონომიკური კრიზისი გაგრძელდება და ლარი დაიწყებს ვარდნას, მოხდება ჰიპერინფლაცია, მაშინ მასობრივი პროტესტები დაიწყება, თუმცა ნაცისტებს არ მიემხრობიან. არასაპარლამენტო ოპოზიცია რომ გაერთიანდეს და ერთი ხმით ელაპარაკონ ხალხს, გაცილებით მეტი ადამიანი შეიკრიბება, ვიდრე 21 მარტს იყო.

**— ბოლო ხანებში ნინო ბურჯანაძე ძალიან გააქტიურდა, აქვს მას შანსები ამ ფონზე?**

— არა, არ მიმაჩნია, იმიტომ რომ არასაპარლამენტო ოპოზიციას არ აქვს შესაბამისი შემართება, პოლიტიკური ნებისყოფა, დრაივი — როგორც ამბობენ, და მოსახლეობის მხარდაჭერა. თეორიულად შემიძლია ვთქვა, თუ კრიტიკულ მომენტში, თუ იქნება ჰიპერინფლაცია, მაშინ საპარლამენტო ოპოზიციას მათთან გაერთიანების შემთხვევაში აქვთ შანსები.

2003 წელს საპარლამენტო არჩევნების დროს, „ვარდების რევოლუციის" წინ, ნაციონალებმა მოიპოვეს 36 ადგილი, შევარდნაძის ხელისუფლება მათ მხოლოდ 30 ადგილს სთავაზობდა. სწორედ ამ შეუთანხმებლობამ გამოიწვია შემდგომში „ვარდების რევოლუცია". ჟვანია აპროტესტებდა 9 პროცენტს ადგილებისას, რომელიც სინამდვილეში აღებული არ ჰქონდათ. ვაჭრობის გარეშე რომ მიეცათ 36 ადგილი, რევოლუცია არ მოხდებოდა. ბურჯანაძეს აქვს იმის შანსი, რომ პარლამენტში შეიყვანოს თავისი პარტია, თუმცა არა უმრავლესობით.

**— შეუძლია თუ არა სააკაშვილს დააშანტაჟოს დასავლეთი, რათა მას მხარი დაუჭირონ თუნდაც რევანშის მიზნით?**

— ამერიკის მხრიდან მას მხარდაჭერა არა აქვს, ისევე, როგორც ევროპის წამყვანი სახელმწიფოებიდან, როგორიც არის გერმანია ან საფრანგეთი. არსებობს რამდენიმე სენატორი ამერიკაში, რომელნიც მას ლობირებენ, თუმცა, ისინი სულაც არ „ქმნიან ამინდს" ამერიკის ადმინისტრაციის პოლიტიკაში. ისიც ხომ ცნობილია, რომ ამ ლობისტებს ის კარგად უხდიდა. რაც შეეხება სააკაშვილის დანიშვნას უკრაინის პრეზიდენტის მრჩევლად, პოროშენკომ ეს გადაწყვეტილება თავად მიიღო, რადგანაც „ნაცებს" ჰქონდათ მჭიდრო კონტაქტები უკრაინელ ოლიგარქებთან. გაიხსენეთ, მმართველობა არ შეიცვალა, ოლიგარქები დარჩნენ ხელისუფლებაში. სააკაშვილის მიერ ჩაყვანილი ხალხი კი რომელნიც დაინიშნენ იქ თანამდებობებზე, არიან მორჩილი შემსრულებლები. **ეკა ზღულაძე** რა დავალებებს უსრულებდა **ვანო მერაბიშვილს**, ეს ერთია, რომელშიც ის 50 ათასლარიან პრემიებს იღებდა, თუმცა, ის გრანტებს არ ეხებოდა იმიტომ, რომ მას და მისნაირებს ჰქონდათ საკუთარი კორუფცია კონტროლქვეშ. **ჯორჯ სოროსმა** საჯაროდ თქვა სააკაშვილის უკრაინაში დანიშვნის შემდეგ, რომ **სააკაშვილმა კი არ მოსპო კორუფცია საქართველოში, არამედ პრივატიზაცია გაუკეთა**. ფაქტობრივად, ეს კორუფცია თვალშისაცემი არ იყო მაშინ, ვინაიდან ეს იყო გზების გაყვანის დროს დახარჯული თანხებისა თუ სხვა მშენებლობების ფულის მითვისება. იუსტიციის სახლი ამის მაგალითია, რომელმაც რამდენიმე თვეც კი ვერ შეძლო არსებობა — აი, ასე აკეთებდნენ ფულს — ეს იყო სწორედ პრივატიზებული კორუფცია!



**— არის თუ არა ყბადაღებული ნეპოტიზმი ხელისუფლებაში?**

— მაგალითს გეტყვით, ჩემმა ახლობელმა საქართველოს მელიორაციის სამსახურიდან მითხრა, რომ ეს უწყება გაივსო კახეთის სამხარეო პოლიციის თანამშრომლებით, ანუ არასპეციალისტებით — ასეთი ინფორმაცია რომ გავრცელდება, ამას „რუსთავი-2" ვერ გააჩერებს. ავეჯიც შეეძლოთ შეეძინათ უფრო იაფად და სალაპარაკო არ გაეხადათ დღევანდელი ეკონომიკური კრიზისის პირობებში, ეს ხომ ფუფუნების საგნებია. ნახეთ ბალტიისპირეთის ქვეყნის ხელისუფლებას რა მანქანები ემსახურებათ, გაცილებით უბრალო და იაფიანი.

**— აქვს თუ არა კოალიციას მდგომარეობის გამოსწორების შანსი?**

— თეორიული შანსი ცხადია, არსებობს, მაგრამ პრაქტიკული შანსი არ ჩანს. ყველაფერი რომ გამოასწორონ, უნდა შეიცვალონ მენტალიტეტი, სამწუხაროდ, ადამიანი ასე უცებ არ იცვლება. ჯოკია ბოდოკიასნაირი სასაცილო პრობლემები არ უნდა შეუქმნან საკუთარ თავს პირველ რიგში და მერე საზოგადოებას. რა უჭირს ხელისუფლებას, რომ შეცვალოს აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურისა და საქმიანობის წესის შესახებ კანონი? ხომ შეიძლება იყოს 13-14 სამინისტრო და არა ოცი? ამხელა აპარატს რჩენა ხომ უნდა? აი, ეს არის „ქამრების შემოჭერა" და არა მხოლოდ ლაპარაკი. ამ პატარა ღატაკ ქვეყანაში ეს ხომ მარაზმია? ხომ შეიძლება მართვის დემოკრატიულ სტილზე გადასვლა, როცა ყველას ექნება ერთი ხმა და თავის აზრს დააფიქსირებს თამამად.

**— რატომ არ მოხდა „ნაციონალური მოძრაობის" მუშაობის პოლიტიკური შეფასება?**

— იმიტომ, რომ „ქართულ ოცნებაში" ბევრი ისეთი ადამიანია, რომელნიც ნაცებთან უფრო ახლოს არიან, ვიდრე კოალიციასთან.

**ეთერ კასრელიშვილი**
**599 110 200**

# თამარ ბერუჩაშვილი: საქართველო კვლავ რჩება საერთაშორისო ორგანიზაციების პრიორიტეტად



საგარეო საქმეთა მინისტრ თამარ ბერუჩაშვილის განცხადებით, ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ამოქმედება იმ მასშტაბის ფინანსურ და ტექნიკურ რესურსებს მოითხოვს, რომელთა მობილიზაცია საერთაშორისო დახმარების გარეშე ძალიან ძნელი იქნება.

როგორც ბერუჩაშვილმა დღეს, სასტუმრო "ქორთიარდ მარიოტში" მიმდინარე დონორთა ყოველწლიურ საკოორდინაციო ფორუმზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, საერთაშორისო დახმარების კუთხით საქართველო კვლავ რჩება პარტნიორი სახელმწიფოების და საერთაშორისო ორგანიზაციების პრიორიტეტად.

„მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს მხარდამჭერი ქვეყნების რიცხვი სულ უფრო იზრდება. საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური კორპუსის საქმიანობის პრიორიტეტულ მიმართულებად კვლავ რჩება პარტნიორი ქვეყნების საგარეო დახმარების ინსტიტუტებთან აქტიური თანამშრომლობა. ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის ჩათვლით, იძლევა ახალ, უნიკალურ შესაძლებლობებს, რომელთა ამოქმედება იმ მასშტაბის ფინანსურ და ტექნიკურ რესურსებს მოითხოვს, რომელთა მობილიზება საერთაშორისო დახმარების გარეშე ძალზე ძნელი იქნება. იმედი გვაქვს, რომ მომავალი წლების განმავლობაში ჩვენი პარტნიორი ქვეყნების მხარდაჭერა და კონკრეტული დახმარება ყველა მიმართულებით, იმ გამოცდილების გაზიარებისთვის, რომელიც ესოდენ მნიშვნელოვანია ამ პროცესის წარმატებისთვის, გააქტიურდება", - განაცხადა თამარ ბერუჩაშვილმა.

# საუკუნის ძარცვა, ანუ ენერგომაფია და ქართული ენერგეტიკის „რუხი კარდინალები“

პოსტსაბჭოთა სივრცეში ელექტროენერგიის ყველაზე მაღალი ტარიფი საქართველოშია, ჰიდრორესურსების თვალსაზრისით, უმდიდრეს ქვეყანაში, რომელიც არც ჰიდროელექტროსადგურების სიმ-



ცირეს უჩივის, მაგრამ ქართველი „ენერგომამების“ უსაზღვრო მადის გამო, დენის ტარიფი „რეკორდულ“ მაჩვენებელს უტოლდება. „თელასის“ გასხვისებამდე დენის სამომხმარებლო ტარიფი დედაქალაქში 4,5 თეთრს შეადგენდა, თუმცა მერე ისეთი სისწრაფით იწყო ზრდა, რომ რამდენიმე წელიწადში 14-თეთრიან ნიშნულს მიაღწია, დარგის სპეციალისტთა განცხადებით, 2005-2007 წლებში დენის ტარიფი 218%-ით გაიზარდა, რასაც მსოფლიოში ანალოგი არ აქვს. კომპეტენტური წყაროს განცხადებით, თავის დროზე „თელასის“ შეძენის სურვილი ერთ-ერთ ფრანგულ კომპანიასაც ჰქონდა, რომელსაც ლიდერის პოზიცია უკავია მსოფლიო ენერგეტიკის სფეროში და გაცილებით უკეთეს პირობებსაც გვთავაზობდა, მაგრამ საქართველოს მაშინდელმა ხელისუფლებამ უპირატესობა, რატომღაც ამერიკელებს მიანიჭა. „ეიიეს“-თან გაფორმებული კაბალური ხელშეკრულების შესახებ მაშინდელი პრესა აქტიურად წერდა, თუმცა უშედეგოდ. შეგახსენებთ, რომ იმ პერიოდში ამერიკულ კომპანიას იურიდიულ მომსახურებას მიხეილ სააკაშვილის მარჯვენა ხელი ირაკლი ოქრუაშვილი უწევდა, ხსენებული ხელშეკრულებაც მისი მომზადებული იყო, ალბათ ამიტომაც არ გააბარტყუნა ყური ხელისუფლებამ, სადაც „პარადი“ ჟვანია-სააკაშვილის გუნდს მიყავდა. რაც შეეხება ე.წ. ჩეხურ „ენერგოპროს“, ხელისუფლების სათავეში მოქცეულმა ნაციონალებმა „თელასზე“ გაცილებით უკეთესი პირობები შეუქმნეს, კომპანიას, რომელსაც ერთი თეთრის ინვესტიცია არ ჩაუდია, ხელშეკრულებაში ჩაუწერეს, რომ მისი მარჟა სხვა გამანაწილებელ კომპანიებზე არანაკლები უნდა ყოფილიყო და „თელასის“ მგავსად, მასაც ელექტ-

როენერგიის განაწილების 8-თეთრიანი ტარიფი დაუწესეს, ესეც არ „აკმარეს“, სიმბოლურ ფასად გადაცემულ „საქართველოს გაერთიანებული ენერგოდისტრიბუციის კომპანიისა“ და „აჭარის ენერგოკომპანიის“ აქტივებს, ხურდაში ექვსი ელექტროსადგური მიაყოლეს და გადამცემი ქსელებიც „უფეშქაშეს“. ხსენებული კომპანიის შემოსვლამდე რეგიონებში განაწილების მარჟა 8 თეთრზე გაცილებით ნაკლები ყოფილა და შესაბამისად, არც დენის გაძვირების საფუძველი არსებობდა, მაგრამ... „ნოღაიდელი და კომპანია“, რომელთა სახელსაც არცთუ უსაფუძვლოდ უკავშირებენ ე.წ. ჩეხურ კომპანიას, „გულუხვობას“ ალბათ იმით ახსნიან, რომ სხვა შემთხვევაში ზემოხსენებული კომპანიები არ გაიყიდებოდა, თუმცა, როგორც წინა სტატიაში აღვნიშნეთ, ავსტრიული კომპანია, რომელიც თურმე უკეთეს პირობებს გვთავაზობდა, ნაცხელისუფლებამ უარით გაისტუმრა. საქმე იმაშია, რომ „ენერგოპროს“ აქტივების შესაძენი საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი მიზერული თანხაც წინასწარ არ გადაუხდია, თავიდან ამ თანხის გადახდის ერთწლიანი გრაფიკი დაუდგენიათ, მაგრამ მერე გადახდილად ჩაუთვლიათ და უკან დაუბრუნებიათ, ელექტროენერგია უნდა ეყიდაო. წყაროს განცხადებით, ხსენებული თანხა ბიუჯეტში არ შესულა, თუმცა „ენერგო პროს“ ნამდვილად დაბრუნებია. მანამდე სად „მოგზაურობდა“ ეს ფული წყაროსთვის უცნობია, თუმცა ისიც საკითხავია, გადაიხადა კი ხსენებულმა კომპანიამ ეს თანხა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ბუნებრივად ჩნდება კითხვა, თუკი არ შეიძლებოდა სახელმწიფოში ერთიანი ენერგოსისტემის არსებობა და მსოფლიოს ბანკის კატეგორიული მოთხოვნით, „საქენერგო“ დაშალეს, მაშინ მოგვიანებით ანალოგიური სისტემა რატომღა შეიქმნა კერძო სექტორში? ელექტროსისტემების ერთი სუბიექტის მფლობელობაში არსებობა, თურმე ენერგეტიკის სფეროს არაგამჭვირვალეობას და კორუფციული სქემების მოქმედებას უწყობდა ხელს, დღეს ფაქტობრივად იგივე ერთიანი სისტემა მოქმედებს, როგორც „ენერგოპრო ჯორჯიას“, ისე „თელასის“ შემთხვევაში, ამ უკანასკნელსაც“ აქვს მართვაში ჰიდროელექტროსადგურები (ხრამი-1, ხრამი-2), ქვესადგურები და გადამცემი ხაზები, ასევე თბოელექტროსადგურის (თბილსრესი) მე-9 და მე-10 ენერგობლოკები, ასე რომ, იგი ელექტროენერგიის მწარმოებელიცაა, გადამცემიც, გამანაწილებელიც და დისპეტჩერიზაციასაც თავად ახორციელებს. კანონმდებლობის მიხედვით, გადამცემი, ანუ სატრანსპორტო ხაზები თურმე ისევ სახელმწიფო საკუთრებად ითვლება და იქნებ ვინმემ აგვიხსნას, როგორც ყოფილ, ისე დღევანდელ ხელისუფალთაგან რასთან გვაქვს საქმე. ხრამჰესის ორი უნიკალური ელექტროსადგური „თელასს“ თავიდან (1999 წელი) 25-წლიან მართვაში გადასცეს (იმ პერიოდში შეუძენია თბოელექტროსადგურის ენერგობლოკებიც), ნაცხელისუფლებას მმართველობის მიწურულს, ხსენებული ჰიდროელექტროსადგურების მართვის ვადა 99 წლით გაუგრძელებიათ, რაც ფაქტობრივად, საკუთრებაში გადაცემას ნიშნავს, რესპოდენტები ვარაუდობენ, რომ ეს ელექტროსადგურები „თელასს“ სიმბოლურ ფასად მიყიდეს. ამ „კეთილშობილური ჟესტის“ გამო კომპანიამ ნაციონალებს რამდენიმე მილიონი გადაუხადა, რაც ცხადია ბიუჯეტში არ აისახებოდა და ნაციონალების საარჩევნო კამპანიას მოხმარდებოდა, ალბათ, ამ თანხის ნაწილი აღმოაჩინეს კახა დამენის სეიფში, რომლის ფირმაც თითქოსდა საკონსულტაციო მომსახურებას უწევდა „თელასს“. მოგეხსენებათ, მაშინ დამენიასთან ერთად ალექსანდრე ხეთაგური, ნიკა გვარამია, „თელასის“ გენერალური დირექტორი დევი კანდელაკი და კიდევ რამდენიმე პირი დააკავეს (ოფიციალური ვერსიით, „თელასმა“ ფული ხელშეუხებლობისთვის გადაიხადა) თუმცა გირაოს სანაცვლოდ მალევე გაათავისუფლეს, 2013 წლის ნოემბერში კი კუბლაშვილის „ობიექტურმა“ სასამართლომ ყველა მათგანი (შვიდი პირი) უდანაშაულოდ ცნო და გირაოს თანხაც დაუბრუნა. რამდენად სამართლიანად მოხდა ეს ყველაფერი ამის მტკიცებას ვერ დავიწყებთ და არც ვინმეს უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევა ვაპირებთ, თუმცა ძნელია არ დაეთანხმო კვალიფიციურ იურისტებს, რომ მარტო სამსახურიდან გასაყრელი კი არა, დასაჭერებიც არიან საგამოძიებო სამსახურის ის თანამშრომლები, რომლებმაც დანაშაულის დამტკიცება ვერ შეძლეს. დარგის სპეციალისტთა განცხადებით, ხრამის ორივე ელექტროსადგური წელიწადში 700 მილიონ კვტ/სთ ელექტროენერგიას გამოიმუშავებს, ზამთრის პერიოდში 500 მილიოი კვტ/სთ იმპორტული დენი შემოგვაქვს, რომლის ფასიც 7,5-9,5 ცენტის ფარგლებში მერყეობს. ხსენებული ელექტროსადგურები როცა 25-წლიან მართვაში გადაეცა „თელასს“, მათ მიერ გამომუშავებული ელექტროენერ-



გიის ერთი კვტ/სთ 1,8 თეთრი ღირდა, მოგვიანებით (დაახლოებით 2007 წელს) ფასი 3,5 თეთრამდე გაიზარდა, ხოლო 2012 წელს, როცა „თელასს“ მართვის ვადა ლამის 100 წლით გაუგრძელეს, 8,5 თეთრს გაუტოლდა, რაც ლამის თბოელექტროსადგურების მიერ გამომუშავებული და იმპორტული დენის საფასურის ტოლფასია. უკანასკნელი გაძვირება, კანონით დადგენილი საჯარო განხილვებისა და დასაბუთებული სატარიფო განაცხადის გარეშე მომხდარა, რაც ბევრ კითხვებს აჩენს. წყაროს განცხადებით,

ამ გაძვირებით „თელასმა“ალიბი შეიქმნა, რომ ჭარბი ინვესტიციის კომპონენტის ხარჯზე ტარიფის გაიაფება თავიდან აიცილოს. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ პრეტენზია “თელასსა“ და „ენერგო პროსთან“ კი არა საქართველოს მთავრობებთან გვაქვს, რომლებმაც მათ სასათბურე პირობები შეუქმნეს, თორემ ასეთი „საჩუქრით“, რომელი ჭკუათმყოფელი არ ისარგებლებდა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ანალოგიური სიტუაციაა „ენერგოპროსთან“ დაკავშირებითაც, დღეს ეს კომპანია ფლობს სომხეთთან დამაკავშირებელ ტრანსსასაზღვრო ხაზს და სხვა ქსელებსაც, თურქეთთან დამაკავშირებელ 100 კილოვატიან გადამცემსაც აშენებს. მის მფლობელობაში არსებულ ჰიდროელექტროსადგურებზე ცალკე ვისაუბრებთ. მხოლოდ ენგურჰესიღაა სახელმწიფო მფლობელობაში, თუმცა მის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის საქართველოს 60%-იანი წილიდანაც 40% „ენერგოპროს“ განკარგულებაშია, ანუ ელექტროენერგიას, რომლის ერთი კვტ/სთ 1,19 თეთრი ღირს, გაათმაგებულ (უფრო მეტიც) ფასში აწვდის რეგიონების მოსახლეობას. მანამდე მახინჯი და კორუფციული ერთიანი ენერგოსისტემა, ახლა ისე როგორ „გაკეთილშობილდა“, რომ უცხოელ არამკითხე ჭკუის მასწავლებლებს ეჭვები და კითხვები აღარ უჩნდებათ? სამაგიეროდ საზოგადოებას გვიჩნდება ეჭვი, რომ იგივე მსოფლიო ბანკის მიერ ვიზირებული, „კეთილშობილურ“ საბურველში გახვეული დაშლა-მოშლა, სინამდვილეში მოსახლეობის ძარცვის დაკანონებას ემსახურებოდა. სემეკის თავმჯდომარის პოსტზე ახალდანიშნულ გურამ ჩალაგაშვილს, რომელიც ენერგეტიკასთან მწყრალად გახლდათ (ცესკოდან მოევლინა დამოუკიდებელ მარეგულირებელს) სურვილი გასჩენია, რომ თავისი რეფორმატორული ხელი დაეტყო ახალი სამსახურისთვის და ხელქვეითებისთვის რჩევა უკითხავს, მათი მოსაზრება, ყველაზე მარტივი და ქულების ჩასაწერი, თანაც მომხმარებლისთვის სასიკეთო საშუალება, ელექტროენერგის არაგამჭოლი ტარიფის გაუქმებააო, ჩალაგაშვილს ძალზე მოწონებია და მთავრობაში წასულა შესათანხმებლად, თუმცა იქიდან დაბრუნე-







გაგრძელება. დასაწყისი
იხ. „საერთო გაზეთი“ №9

ბულს ამ თემაზე კრინტი აღარ დაუძრავს. როგორც ჩანს, ჩალაგაშვილს „ზემოთ“ მაგრად დაუცაცხანეს და „რეფორმატორობის“ სურვილი დაუკარგეს. ჩვენი ინფორმაციით, ხელისუფლების შეცვლის შემდეგაც შესთავაზეს პროფესიონალებმა ენერგეტიკის სამინისტროს, რომ გაუქმებულიყო არაგამჭოლი ტარიფი, თუმცა ყურადღება არავინ მიაქცია, ეტყობა არც ახალ ხელმძღვანელობას აღელვებს მომხმარებელთა ინტერესები, ისინი ან კორუფციულ გარიგებაში არიან გარეული, ანდა



უვიცობის ბრალია, ან ორივე ერთადო. არაგამჭოლი ტარიფის და ჭარბი ინვესტიციის კომპონენტის მეშვეობით, რომელთა დაკანონებაც ჯერ 2015 წლამდე მოხდა ავადსახსენებელ მემორანდუმზე ნოღაიდელის ხელმოწერით, ხოლო ალექსანდრე ხეთაგურის ხელმოწერით 2025 წლამდე გაგრძელდა, „თელასი“ მონოპოლიურად მაღალ მოგებას ღებულობს, რასაც იურისტთა განმარტებით, სამოქალაქო სამართლის ენაზე უსაფუძვლო გამდიდრება ჰქვია, ხოლო სისხლის სამართლებრივ ენაზე კორუფცია, ხსენებული ხელშეკრულების გაფორმების გამო დასაჭერია, როგორც ნოღაიდელი, ისე ხეთაგურიო. მოგეხსენებათ, ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, დედაქალაქში დენის ტარიფი სამი თეთრით შემცირდა და ბუნებრივია, დავინტერესდით რის ხარჯზე მოხდა კლება. რესპოდენტები ანალოგიურ კითხვაზე ენერგეტიკის მინისტრ კახი კალაძის რბილად რომ ვთქვათ, უცნაურ პასუხს იხსენებენ, რომ თურმე მისი პირადი კავშირების ხარჯზე შემცირდა, კანონიერად უნდა მოხდეს (მით უმეტეს, რომ არსებობს ამისთვის საფუძვლიანი არგუმენტები) ტარიფის გადახედვა, თორემ პირადი კავშირების გამოყენება ნიშნავს, რომ კორუფციულ გარიგებასთან გვაქვს საქმეო. სინამდვილეში ტარიფის კლება ენგურჰესის კვოტის გადანაწილების ხარჯზე მომხდარა, ანუ გამანაწილებელს დამატებით მისცეს იაფი ელექტროენერგია. აქვე გვინდა გავიხსენოთ ის გარიგებაც, რომელიც თავის დროზე მედიით გახმაურდა. აქტიურად ვრცელდებოდა ხმები, რომ ნაცხელისუფლებამ ბეჟუაშვილებს ხუთ მილიონად მიყიდა თბილსრესის მე-2, მე-4 და მე-7 ენერგობლოკები, თუმცა მოკლე ხანში მათთვის ორმაგი თანხა დაუბრუნებიათ. ახალმა მფლობელებმა შემდგომ ერთი ბლოკი დაშალეს და 40 მილიონის მარტო ჯართი დაჭრეს და გაყიდეს, ეს ყველაფერი რომ გამომჟღავნებულიყო, მერე ვითომ ტარიფი შეამცირესო.

„ენერგოპროსთვის“ სასათბურე პირობების შექმნა, მისთვის მონოპოლისტის სტატუსის მინიჭება საზოგადოებაში საკმაოდ სერიოზულ ეჭვებს ბადებს, რომ კომპანიას გავლენიანი ქართველი მეწილეები ჰყავდა (სხვათა შორის, ეს ინფორმაცია საჯარო უნდა ყოფილიყო), რომელთაც გავლენები არც დღეს შესუსტებიათ, ალბათ, არც იმის გამორიცხვა შეიძლება, დღევანდელ ხელისუფლებაშიც იყოს ჰყავდეთ ე.წ. მეწილე. წყაროს ინფორმაციით, კომპანიაში ქართველი მეწილეები მართლაც იყვნენ, თუმცა ჩვენ ამის დამტკიცება გაგვიჭირდება, იმასაც კი ამბობდნენ, რომ ნოღაიდელის პრემიერ-მინისტრობის დროს, ხსენებული კომპანიის ბუღალტერიას მისი მეუღლე აკონტროლებდაო. რაც შეეხება დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენლებთან კავშირს, შეიძლება მათ „წილს“ პირდაპირ არ უხდიან, მაგრამ კომპანიის აქციონერები იყვნენო. თავის დროზე ისიც ითქვა, რომ „ენერგოპრო“ არავითარი ჩეხური კომპანია არ იყო, ნოღაიდელმა და მისმა გუნდმა გაიტანა საქართველოდან ფული და უბრალოდ სახელი იყიდეს, ანუ ჩეხების სახელით შემოვიდნენ. წყაროს ინფორმაციით, თავიდან ფული არ ყოფილა გატანილი, ჯერ კომპანია შექმნეს და მერე დაიწყეს „ჩალიჩი“, ნოღაიდელის პრემიერ-მინისტრობისას დაახლოებით 60 მილიონი ევროს კრედიტი აქვთ აღებული ჩეხეთის ექსიმბანკიდან ქართული აქტივების დაგირავების ხარჯზე, მიუხედავად იმისა, რომ უკვე დიდი ხანია აღარ მოქმედებდა მექანიზმი, როცა სახელმწიფო გარანტიით ხდებოდა კერძო კომპანიის მიერ ვალის აღება, „ენერგოპროს“ შემთხვევაში ზუსტად ეს მექანიზმი გამოიყენეს, კომპანია ჩეხურ ბანკს დააფინანსებინეს, რომ ყველაფერი ლამაზად შეეფუთათ. ის ვერსიაც მოვისმინეთ, რომ ხსენებული კომპანია მოსკოვიდან იმართება, ასე რომ, მის მიმართ ინტერესი ნოღაიდელის გარდა, რუსებსაც აქვთო. საერთოდ, „ენერგოპროს“ ქართულ ენერგობაზარზე გამოჩენას, წინ საკმაოდ საეჭვო პერიპეტიები უძღვოდა. „ვარდების რევოლუციის“ წინ „საქართველოს გაერთიანებულმა სადისტრიბუციო ენერგოკომპანიამ“, მიუხედავად იმისა, რომ ელექტროენერგიის მიწოდების არანაირი პრობლემა არ ჰქონდა (დაინტერესებულთ ამის გადამოწმება არ გაუჭირდებათ), თავად დაიწყო დენის მიწოდების შემცირება და წინასაარჩევნოდ, მთელი ორი თვის განმავლობაში თითქმის მთელი საქართველო ჩააბნელა, თბილისსაც იგივე ელოდა, კომპანიას ამის საშუალება რომ ჰქონოდა. ცხადია, ამ ყველაფერმა კიდევ უფრო დაამძიმა სოციალური მდგომარეობა და შესაბამისად, გაამწვავა შევარდნაძის ხელისუფლებისადმი მოსახლეობის ისედაც უარყოფითი დამოკიდებულება, ვარდოსნების ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ კი, განახლდა დენის უწყვეტ რეჟიმში მიწოდება. წესით ხელისუფლება, უფრო ზუსტად სამართალდამცავი სტრუქტურები უნდა დაინტერესებულიყვნენ, რასთან გვქონდა საქმე, მაგრამ, როცა დიდი ალბათობით, ეს სწორედ ე.წ. ახალგაზრდა რეფორმატორთა ხელდასხმით გაკეთდა, საკუთარ თავს ხომ არ დასჯიდნენ.

როგორც წინა სტატიაშიც აღვნიშნეთ, სადისტრიბუციო კომპანიას 2004 წლისთვის უზარმაზარი ვალები ჰქონდა დაგროვილი და მის გაკოტრებასთან დაკავშირებით, სასამართლოში განაცხადიც ყოფილა შეტანილი, თუმცა მფარველად მარტო მთავრობა კი არა, პარლამენტიც მოევლინა. იმავე წლის მაისში მთავრობამ პარლამენტს წარუდგინა კანონპროექტი „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონში დამატების შეტანასთან დაკავშირებით, რომელიც, როგორც მოსალოდნელი იყო, დაახლოებით ერთ თვეში ტაშის გრიალით მიიღეს. დადგინდა, რომ ენერგოსექტორში მოქმედი საწარმო, რომელიც კანონში შეტანილი დამატების ამოქმედებამდე (2004 წლის 18 ივნისი) ფლობდა, თუნდაც ერთი სახის ლიცენზიას და განცხადებით მიმართავდა სასამართლოს გაკოტრების საქმის გახსნის გადავადებასთან დაკავშირებით, სასამართლო ვალდებული იყო ეს მოთხოვნა დაეკმაყოფილებინა და უფრო მეტიც, ეს გადაწყვეტილება გასაჩივრებას არ ექვემდებარებოდა. იურისტთა განცხადებით, ეს ნორმა წინააღმდეგობაში მოდის, როგორც საქართველოს კონსტიტუციასთან, ისე საერთაშორისო ნორმებთან. აქვე ერთი საგულისხმო დეტალიც, ენერგოსექტორისთვის ხსენებული გადავადების ვადა 18 თვით განისაზღვრა, ეს მაშინ, როცა სხვა სფეროში დაკავებული საწარმოებისთვის ანალოგიური ვადა დაახლოებით სამ თვემდეა და სასამართლო გადაწყვეტილებაც გასაჩივრებას ექვემდებარებოდა. ნაცხელისუფლების მიერ მიღებული ხსენებული კანონი მხოლოდ ამ „ნოვაციით“ არ შემოფარგლულა, სასამართლო განჩინების გამოტანის დღიდან 18 თვის განმავლობაში, ამ საზოგადოების მიმართ სავალდებულო წესით ჩერდებოდა ნებისმიერი იძულებითი აღსრულების ღონისძიებები, ხოლო თავად საზოგადოების ხელმძღვანელობა შეუზღუდავი იყო თავის საქმიანობაში, მათ შორის საზოგადოების კუთვნილი ქონების გასხვისებაში. ამ „საჩუქრით“ დაუყოვნებლივ ისარგებლა სადისტრიბუციო კომპანიამ (სინამდვილეში ხომ ყველაფერი მისთვის გაკეთდა) და გაკოტრების საქმის გახსნის 18-თვიანი გადავადების მოთხოვნით მიმართა სასამართლოს, თან „სულგრძელად“ ისიც აღიარა, რომ მისი დავალიანება 650 მილიონ ლარს აღემატებოდა. ხსენებული კანონი მკაცრ დათქმას შეიცავდა, რომ საწარმოს ასეთი შეღავათიანი გადავადებით, მხოლოდ ერთხელ შეეძლო ესარგებლა. მავანთ ეს შეღავათი არასაკმარისად მიიჩნიეს და საქართველოს მთავრობამ (პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი) 2006 წლის დასაწყისში კანონში შესატანი მორიგი ცვლილებით მიმართა პარლამენტს, ენერგოსექტორში „მოღვაწეთ“ უფლება მივანიჭოთ, რომ გადავადებით ორჯერ ისარგებლონო, რაც რა თქმა უნდა პარლამენტმა ისევ დაჩქარებული წესით მიიღო. ერთი სიტყვით, „პიაი კონსალტინგის“ მართულ კომპანიას, ორჯერ გადაუვადეს გაკოტრების საქმის გახსნა, დამატებით კიდევ რა დარღვევები მოხდა ამის ჩამოთვლას აღარ



მოვყვებით, ფაქტი, რომ ვარდოსნების ხსენებული „ნოვაციებით“ კიდევ უფრო დამძიმდა ენერგოსექტორის სხვა საწარმოთა მდგომარეობა, რომლებიც ელექტროენერგიას აწვდიდნენ ხელისუფლების ფავორიტ სადისტრიბუციო კომპანიას, მათ არავითარი ანაზღაურება აღარ მიუღიათ. გულუბრყვილობაა იმაზე ფიქრი, რომ ზურაბ ნოღაიდელს, თუნდაც პრემიერ-მინისტრის რანგში, იმ დონის გავლენა ჰქონდა, რომ პარლამენტს კანონში დაჩქარებული წესით ორჯერ შეეტანა ცვლილება. ცხადია, კვალი უფრო ზემოთ, მაშინდელ პრეზიდენტთან მიდის, მით უმეტეს, რომ „პიაი კონსალტინგისა“ და იუესაიდის ერთობლივი შეფი დინ უაითი მიხეილ სააკაშვილის კაბინეტში თურმე დაკაკუნების გარეშე შედიოდა. ცოტა მოგვიანებით „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია“ უზარმაზარი ვალებისგან გაწმინდეს (ვალები ახლად შექმნილ კომპანია „ენერგია-21“-ს „გადაულოცეს“) და „ენერგოპროს“ მიყიდეს, რომელმაც შემდგომ დააფუძნა „ენერგოპრო ჯორჯია“, მოკლედ მას „სამოქმედო არეალი“ კარგად გაუსუფთავეს, მხოლოდ აქტივები დაუტოვეს.

„საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის“ გასხვისების საკითხი ჯერ კიდევ 2005 წელს დადგა, თუმცა ორი აუქციონი ჩაიშალა. ამ თემაზე რამდენიმე წლის წინ ქართული პრესა აქტიურად წერდა. პირველი აუქციონი 2005 წლის მარტში მოეწყო და მასში მონაწილეობის სურვილი თურმე მხოლოდ ერთ კომპანიას, „ბაგები-2004“-ს გამოუთქვამს, რახან ეს კომპანია ხელისუფლების ერთ-ერთ ჩინოსანთან ასოცირდებოდა, სავარაუდოდ, აუქციონის ჩაშლა ამ ინფორმაციის გახმაურებამ გამოიწვია. როგორც გაირკვა, სადისტრიბუციო კომპანიის შეძენის სურვილი ეკონომიკის მაშინდელ მინისტრს კახა ბენდუქიძეს ჰქონდა, „ბაგები-2004“ რომ ბენდუქიძის ოჯახის კუთვნილება იყო, ყველას კარგად მოეხსენებოდა, მაგრამ ნოღაიდელის დაჯგუფებამ მას ეს გეგმა ჩაუშალა. აქედანაც ჩანს, რომ ნოღაიდელის უკან მართლაც მიხეილ სააკაშვილი იდგა, თორემ ბენდუქიძის ჩამოცილება ადვილი საქმე არ იყო. პრესაში გამოქვეყნდა ენერგეტიკის ერთ-ერთი ექსპერტის ანგარიში, რომ მეორე აუქციონისთვის გაერთიანებული სადისტრიბუციო კომპანიის, აჭარის ენერგოკომპანიის და ექვსი ელექტროსადგურის ფასი 350 მილიონი აშშ დოლარით განისაზღვრა. მაშინ ამ თანხის გადამხდელი არ გამოჩნდა და ამიტომაც აუქციონი გადავადდა.

საბოლოოდ ჩაშლილი მოლაპარაკების შედეგად, აღნიშნული პაკეტი 2007 წლის 5 თებერვალს ჩეხურმა კომპანია „ენერგოპრომ“ შეისყიდა. როგორც მოლაპარაკებები, ისე გაყიდვის პროცესი გაუმჭვირვალედ მიმდინარეობდა, ჩეხურმა კომპანიამ აქტივები არა 350 მილიონად, არამედ 132 მილიონ აშშ დოლარად შეიძინაო. როგორც უკვე მოგახსენეთ, შესყიდვა თავისუფალ რეჟიმში მოხდა, ანუ „ენერგოპროს“ უფლება ჰქონდა ყიდვის ფასი, თავისი სურვილისამებრ გადაეხადა და რაც ყველაზე მთავარია, თუკი მყიდველსა და გამყიდველს შორის ამ თემაზე აზრთა სხვადასხვაობა გაჩნდებოდა, მყიდველს უფლება ჰქონდა თავად გადაეწყვიტა ეს საკითხი. საქართველოს მაშინდელ ხელისუფალთ თვითონ რომ არ ჰქონოდათ ხსენებული კომპანიის მიმართ ინტერესები, გამორიცხულია ამგვარი ხელშეკრულება გაეფორმებინათ, ნაციონალები არც ისეთი ბრიყვები არიან (რა თქმა უნდა სათავისოდ), რომ ამგვარ დათმობაზე უანგაროდ დათანხმებულიყვნენ.

**მანანა სუხიშვილი**
**599 51 28 24**

(გაგრძელება იქნება)



# სომხური ეკლესია საქართველოს ხელისუფლებისგან 394 „სომხური“ ეკლესიის გადმოცემას ითხოვს

2014 წელს საქართველოს პარლამენტმა კანონი მიიღო რელიგიური გაერთიანებების იურიდიული სტატუსის შესახებ. კანონმა საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად ყველა რელიგიური გაერთიანება გამოაცხადა, რომელსაც „მჭიდრო ისტორიული კავშირი ჰქონდა საქართველოსთან“. მათ შორის არის სომხური სამოციქულო ეკლესიაც.

ამ კანონის მიღებიდან ძალიან მალე სომხურმა ეკლესიამ საჯაროდ გამოთქვა პრეტენზიები თბილისში არსებულ ათეულობით მოქმედ და დანგრეულ სალოცავზე, როგორც სომხური კულტურის ნაწილზე. მაგრამ შემდეგ ეს თემა მიწყნარდა და საზოგადოების ყურადღებაც მინელდა.



ახლახან ჩემს ხელთ აღმოჩნდა სომეხთა სამოციქულო ეკლესიის საქართველოს ეპარქიის წინამძღვრის, ეპისკოპოს **ვაზგენ მირზახანიანის** მიმართვის ტექსტი პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილისადმი.

**„ბატონო ირაკლი,**

**მე-5 საუკუნიდან საქართველოს კუთვნილ მიწაზე მოღვაწეობს სომეხთა სამოციქულო ეკლესია. საქართველოში მოღვაწეობის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის განმავლობაში სომეხთა სამოციქულო ეკლესიამ ააგო ტაძრები, მონასტრები, საგანმანათლებლო დაწესებულებები, საავადმყოფოები და საზოგადოებისთვის სასარგებლო დანიშნულების სხვა შენობა-ნაგებობები, რომელთა მეშვეობით საქართველოში მცხოვრები სხვა ერების წარმომადგენლებთან ერთად ხელს უწყობდა ქვეყნის კეთილდღეობასა და სიძლიერეს.**

**სამწუხაროდ, საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს საქართველოში სომეხთა სამოციქულო ეკლესიას ჩამოერთვა კუთვნილი ქონება. გთხოვთ სამართლებრივი სახელმწიფოსა და მოქალაქეთა თანასწორობის საკონსტიტუციო პრინციპებიდან გამომდინარე, დაუბრუნოთ ჩამორთმეული ტაძრები, მონასტრები (მოქმედი და არამოქმედი), მათი ნანგრევები, აგრეთვე მიწის ნაკვეთები, რომლებზეც ისინი არიან ან იყვნენ განლაგებული სსიპ — სომეხთა სამოციქულო მართლმადიდებლური წმინდა ეკლესიის საქართველოს ეპარქიას.**

**გფარავდეთ უფალი თქვენ დასრულიად საქართველოს!**

**ეპისკოპოსი ვაზგენ მირზახანიანი, სომეხთა სამოციქულო მართლმადიდებელი წმინდა ეკლესიის საქართველოს ეპარქიის წინამძღვარი“.**




მიმართვას ახლავს სია, რომელიც საკმაოდ გრძელია. სრულად მის ჩამოთვლას საგაზეთო ფორმატი არ ეყოფა. ერთი სქელტანიანი წიგნია საჭირო, საქართველოში სომეხთა „ნაშრომ-ნაღვაწის“ მხოლოდ ჩამოთვლა რომ მოვახერხოთ. ამ სიაში ის ეკლესია-მონასტრებიცაა, რომლებიც ქართული კულტურის ძეგლებია, მაგრამ ჩვენი მეზობლები თავისად მიიჩნევენ. ამ თემას ჩვენ კვლავაც მივუბრუნდებით და დეტალურად ისტორიკოსებთან ერთად ვისაუბრებთ, ახლა მხოლოდ სტატისტიკას გაგაცნობთ.

აი, რამდენ ეკლესია-მონასტერს იჩემებენ სომხები საქართველოს ტერიტორიაზე: თელავში — 5 ეკლესია, ლალისყურში, წინანდალში, ნაფარეულში, რუისპირში, სანიორეში, ტურისციხეში, ტოღნიანში, ლეგოდეხში, დედოფლისწყაროში, წითელწყაროში თითო ეკლესია, ყვარელში — 24 ეკლესია, საგარეჯოში — 7, სიღნაღში — 8, ახალქალაქში — 52, ნინოწმინდაში — 18, ახალციხის რაიონში — 24, ასპინძაში ერთი ეკლესია, ადიგენში — 1, ბორჯომში — 24, კასპის რაიონში — 11, მცხეთაში — 15, ქარელში — 5, გარდაბანში — 15, წალკაში — 20, თეთრიწყაროში — 42, მარნეულში — 33, დმანისში — 14, ბოლნისში — 47, დუშეთში — 4, აჭარაში — 2, სამეგრელოში — 2, ონში –1, იმერეთში — 4, ცაგერში — 1, თერჯოლაში — 3, თბილისში — 28.

არავის სურს მტრობის და კონფრონტაციის გაღვივება, მაგრამ ქართული ანდაზის არ იყოს, „კაცმა მალა, მალაო, ჭირმა თავი არ დამალაო“. რაც უფრო თვალს დავუხუჭავთ, მით უფრო თამამდებიან ჩვენი მეზობელი სომხები.



ბედის ირონიაა მართლაც, როცა საქართველოს ძალიან უჭირს მაშინ ქართველისაგან გულში ჩახუტებული სომეხი ამ 394 ეკლესიასთან ერთად ეკლესიების გარშემო მიწას და სასაფლაოების ტერიტორიებს ითხოვს პრემიერ ღარიბაშვილისადმი მიწერილ წერილში.

დავას და კამათს არ დავიწყებთ, ვიცით, რომ ყოველივე ქართული ტოლერანტობის, სხვა რელიგიების და უცხოტომელების მიმართ შემწყნარებლობის და კიდევ გულარხეინობის ბრალია, თორემ წმინდა ქალაქ მცხეთაში, უფლის კვართის სავანეში, ამ ერთი მუჭა ქალაქში 15 სომხური ეკლესია როგორ უნდა აშენებულიყო?!

დოკუმენტი, რომელის შესახებაც წერილის დასაწყისში გესაუბრეთ, 2014 წლის დეკემბერში, სულ რაღაც სამი თვის წინ არის გაგზავნილი პრემიერის აპარატში.

ჩვენი მეზობლები თავის ძველ ზნეს ვერ თმობენ და ერთი შეხედვით უწყინარი, კულტურის ძეგლების მათთვის გადაცემის მოთხოვნით, ჩუმ და ფრთხილ ტერიტორიულ ანექსიას აპირებენ. წარმოიდგინეთ, ზემოთჩამოთვლილი 394 ეკლესია, მისი შემოგარენი, სასაფლაოების ტერიტორიები, სამცხე-ჯავახეთი, სადაც სომხური ენის ადმინისტრაციულ ენად გამოცხადებას კატეგორიულად ითხოვენ, ხოლო ამ რეგიონის ავტონომიის უფლებამ უკვე ქრონიკული და პერმანენტული სახე მიიღო, როცა ქართველები ქიშპობით და ჯიბრით ერთმანეთს ვჭამთ, მილიონნახევარი ქართველი უცხოეთშია გადახვეწილი და აქ დაბრუნებას აღარ აპირებს, ამ ქვეყნის ტერიტორიების და კულტურის მისათვისებლად გამალებული შრომა აქვთ, აგერ, ჩვენს მეზობელ სომხებს და თუ ასე გაგრძელდა, საწადელსაც აისრულებენ.

**ირანდა კალანდაძე**
**593 56 11 18**

# ჰერეთი — გიორგობიდან გიორგობამდე!



ახალგაზრდულ მოძრაობა დავითიანთან არსებული კულტურული მემკვიდრეობის კომიტეტის ორგანიზაციით 22-24 ნოემბერს მოეწყო ექსპედიცია ისტორიულ ჰერეთში... დღევანდელ აზერბაიჯანში. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა ქურმუხის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის მოლოცვა. გიორგობის დღესასწაულის ჰერეთელ ქართველებთან ერთად აღნიშვნა, იქ არსებული ქართული ძეგლების მონახულება, მათი ფოტო-ვიდეო მასალის გადაღება. მოგეხსენებათ, რომ დღესდღეობით აზერბაიჯანულთა მხრიდან ჰერეთში არსებულ ყველა ქართულ ძეგლს, რომელიც აშენებულია მე-19 საუკუნემდე. მინიჭებული აქვს ალბანური ძეგლის სტატუსი. ღვთის მსახურება აღევლინება მხოლოდ ქალაქ კახის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიაში, მაშინ, როცა საქართველოში მოქმედებს 311 მეჩეთი და საქართველოს მთავრობა აბსოლუტურ მხარდაჭერას უცხადებს მათ.

გამგზავრებამდე ჩვენ ჩავატარეთ კონფერენცია აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით. მოწვეულნი იყვნენ სხვადასხვა სამინისტროს წარმომადგენლები, სადაც ორმა ყველაზე პასუხისმგებელმა სამინისტრომ, აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით — საგარეო და კულტურის სამინისტროებმა, თავი აარიდეს მოსვლას და კითხვებზე პასუხების გაცემას. ჩვენი, ახალგაზრდების მიზანია ამ თემით დავაინტერესოთ, როგორც



ქართული საზოგადოება, ასევე სამინისტროები, რომელთა პირდაპირი მოვალეობაა იზრუნონ იქ არსებულ ქართულ ძეგლებზე და მათ სტატუსზე.

ძეგლების გარდა იქ მცხოვრებ ქართულ მოსახლეობასაც ბევრი პრობლემა აქვს ქართველობის და მართლმადიდებლობის გამო. მათი ყოველდღიური ცხოვრება ბრძოლაა ამ ყოველივეს დასაცავად. იბრძვიან და შვილებსაც ამ ბრძოლის ჟინით ზრდიან. მათ ეკრძალებათ შვილებისთვის ქართული სახელების დარქმევა, სკოლებში იკრძალება საქართველოს ისტორიის და გეოგრაფიის სწავლა. დანარჩენ საგნებს კი 1980-იან წლებში გამოშვებული წიგნებით სწავლობენ. დღესდღეობით იქ მოქმედებს მხოლოდ 11 ქართული სკოლა., სადაც ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილები კვირაში მხოლოდ 2 საათია. საქართველოში კი მოქმედებს 240-მდე აზერბაიჯანული სკოლა, სადაც აზერბაიჯანული ენა კვირაში 5 საათია.

გასაოცარია მათი სიყვარული ისტორიული სამშობლოსადმი. გული სწყდებათ, ქართველებს არ ვახსოვართ, დაგვივიწყესო. ამიტომ საქართველოდან ჩასული სტუმარი მათთვის განსაკუთრებულია, თითქოს ნიშანია იმისა, რომ იქ, ისტორიულ სამშობლოში კიდევ ახსოვთ, კიდევ ცხოვრობს მათი გულშემატკივარი ხალხი. შეუძლებელია ცრემლების გარეშე უყურო მათ სახეებს, როდესაც იგებენ, რომ საქართველოდან ხარ და ყველანაირად ცდილობენ გულთბილი მასპინძლობა გაგიწიონ. არც ჩვენი მასპინძელი ოჯახი ყოფილა ამით გამონაკლისი, ოჯახის დიასახლისმა თითოეული ჩვენგანი მიგვიღო, როგორც საკუთარი შვილი და მთელი სამი დღის განმავლობაში თავს ვგრძნობდით, როგორც საკუთარ სახლში. ასევე ემოციური იყო იქაურ ახალგაზრდებთან შეხვედრა, მათი აცრემლებული თვალების დანახვა, სამშობლოსთან დაბარებული მოკითხვა და კიდევ სხვა ბევრი რამ. ერთმა ახალგაზრდამ ასეთი რამ გვითხრა: „დაიმახსოვრეთ და კარგად იცოდეთ, რომ თითოეული აქაური ქართველის კარი ნებისმიერი ქართველისთვის ყოველთვის ღია არისო“. ეს უბრალო სიტყვები კი არ არის, რადგან ჩვენ საკუთარ თავზე გამოვცადეთ ამ სიტყვების ძალა გასულ გიორგობას, რადგან ჩვენ გვიმასპინძლა ოჯახმა, რომელიც სტუმრობის დღეს გავიცანით, მაგრამ მიგვიღოს როგორც ძალიან დიდი ხნის ნაცნობები.

23 ნოემბერს, გიორგობის ბრწყინვალე დღესასწაულზე, წირვას დავესწარით ქალაქ კახის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიაში, რაც თითოეულ ჩვენგანში დიდ სიამაყეს იწვევდა, რადგან წირვას ვესწრებოდით მუსლიმანურ ქვეყანაში, რომელსაც ქართველი სასულიერო პირები აღავლენდნენ ქართველებით სავსე ტაძარში, რომელსაც მრავალჟამიერი აგვირგვინებდა. წირვის დასრულების შემდეგ მოვილოცეთ ქურმუხის წმ. გიორგის სახელობის ეკლესია. ამ ეკლესიას აზერბაიჯანული მხარე ალბანურ ძეგლად ნათლავს, რაც, რა თქმა უნდა, მტკნარი სიცრუეა. ქურმუხისკენ მიმავალ გზაზე უამრავი რამის მომსწრე ხდები, მაგალითად, იმის, თუ როგორ ზეიმობენ ქართველებთან ერთად აზერბაიჯანელი, ლეკი და სხვა ეთნოსის წარმომადგენლები გიორგობის დღესასწაულს. ტაძარი შიგნიდან ძალიან მძიმე მდგომარეობაშია — მისული მომლოცველები სანთლებს პირდაპირ კედლებზე ანთებენ, მიუხედავად იმისა, რომ იქ რამდენიმე სასანთლეა, კედლები წარწერებითაა აჭრელებული. ტაძარი მთელი წლის მანძილზე ღიაა, არ იკეტება და ნებისმიერ დროს, ნებისმიერს შეუძლია იქ შესვლა და იმის გაკეთება, რაც მოესურვება. სწორედ ამის გამო ხატებს ვერ ტოვებენ, რომ ვინმემ არ დააზიანოს. სასულიერო პირებს კი ქურმუხზე ასვლის და პარაკლისის გადახდის უფლება წელიწადში მხოლოდ 2-ჯერ — 6 მაისსა და 23 ნოემბერს — გიორგობის ბრწყინვალე დღესასწაულზე ეძლევათ. საქართველოში ხომ წარმოუდგენელია რომელიმე მოლას რომელიმე მეჩეთში ვადები დაუწესო ან აუკრძალო რიტუალის ჩატარება. იქ მისულ ქართველებს ფოტო-ვიდეო მასალის გადაღებაც ეკრძალებათ და ეს აკრძალვა საკუთარ თავზე გამოვცადეთ, როდესაც პირმა, უშიშროების საბუთით სასტიკად აგვიკრძალა ეს. თუმცა შეკამათების შემდეგ მხოლოდ ფოტოების გადაღების უფლება მოგვცა. თუ იკითხავ, რატომ არ გაქვს ამის უფლება, ამას არავინ არ გიხსნის, მხოლოდ სასტიკად გაფრთხილებენ, რომ არ უნდა გადაიღო. არა მგონია, საქართველოში აზერბაიჯანის მოქალაქეებზე მსგავსი აკრძალვები ვრცელდებოდეს და ძალიან გულდასაწყვეტია, რომ ჩვენი ქვეყანა სირაქლემის პოზიციაშია ამ საკითხებთან მიმართებაში. მხოლოდ რამდენიმე გულანთებული ახალგაზრდა ვერაფერს შეცვლის, თუ სახელმწიფომ ოფიციალურად არ დააყენა დღის წესრიგში აღნიშნული საკითხები აზერბაიჯანულ მხარესთან.



ვიზიტის ფარგლებში ასევე მოვინახულეთ: თამარ მეფის ხიდი, კასრის ეკლესია, სოფელ ალიბეგლოს (ისტორიული ქათმისხევის) წმ. ნინოს სახელობის ეკლესია, სოფელ ქუთუქლოს წმ. სამების ეკლესია. თითოეულ ჩვენგანში განსაკუთრებული ემოცია გამოიწვია წმ. ნინოს სახელობის ლექართეს დედათა სამონასტრო კომპლექსმა, რომელიც დღეს კერძო საკუთრებას წარმოადგენს და შემორჩენილია მხოლოდ 5 ეკლესიის ნანგრევი. ეკლესიებს სახურავები საერთოდ აღარ აქვს, ზოგიერთს კედლებიც. იქ მისული გრძნობ, რომ იმყოფები ადგილზე, რომელიც ერთ დროს მართლმადიდებლობის კერას წარმოადგენდა, დღეს კი, ისტორიის ავბედითობით, ნანგრევებად ქცეულა. ერთდროულად გეუფლება მწუხარებაცა და სიამაყეც. მწუხარება იმის შემხედვარეს, რა მდგომარეობაშიც იმყოფება ძეგლი. სიამაყე კი იმის გამო, რომ ეს დიდებული კომპლექსი შენი წინაპრების მიერაა აშენებული. რა ტრაფარეტიც არ უნდა მიაკრან, რაც არ უნდა დაწერონ ზედ, თავად ძეგლი გველაპარაკება შემქმნელის ვინაობაზე. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ გასულ გიორგობას ყველა მძღოლი უშიშროებიდან სასტიკად იყო გაფრთხილებული, რომ ქართველები იქ არ აეყვანათ. ლექართედან ჩამოსულებს კი დაგვხვდა კაცი, რომელმაც თავი გიდად წარმოგვიდგინა, გამოიკითხა ჩვენი ამბავი, ვინ ვიყავით, საიდან ვიყავით და რა გვინდოდა აქ. თარჯიმნობას ჩვენი მასპინძელი გვიწევდა, რადგან ამ ადამიანს რუსული არც ისე კარგად ესმოდა და ჩვენც ძალიან გვიჭირდა მისი დამტვრეული რუსულის გაგება. საინტერესოა, საიდან გაიგო ჩვენი ლექართეზე ყოფნის ამბავი. ეს კიდევ ერთი დასტური იმისა, რომ იქ ჩასული თითოეული ქართველის ნაბიჯი, გამოხედვა, საუბარი კონტროლდება. ამ ადამიანმა გვაჩვენა 20 ჰექტარზე გადაჭიმული სამონასტრო კომპლექსი, რომელსაც მოიხსენიებდა „მსოფლიო მნიშვნელობის“ ძეგლად და, სამწუხაროდ, მისი ისტორიული სახელი ჩვენთვის უცნობია. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ იქ არსებული საეკლესიო ნაგებობებიდან ერთ-ერთი იყო დარბაზული ტიპის, ქართულ ხუროთმოძღვრებაში მხოლოდ ბანა არის ცნობილი დარბაზული ტიპის ეკლესიად, რაც კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, რომ ეს ძეგლი და ყველა იქ არსებული ძეგლები ქართულია და ალბანელებს არანაირი კავშირი არ აქვთ მათთან.

იქ მცხოვრები ქართველები ცოცხლობენ გიორგობიდან გიორგობამდე, იქ ჩამსვლელი ქართველების მოლოდინით. ამიტომ ყველას მინდა მოგიწოდოთ, ნუ დაელოდებით გიორგობას, ჩადით, ინახულეთ იქ არსებული ძეგლები, იქაური ქართველები, რომლებისთვისაც დიდი ნუგეში და იმედია, თითოეული ქართველის ხილვა და ყველა ოჯახის კარი მუდამ ღიაა ჩვენთვის. შემდეგ კი ყველამ ერთად ვთხოვოთ საქართველოს მთავრობას, რეაგირება მოახდინონ იქ არსებულ პრობლემებზე.

**მზია ჯაჯანაშვილი**
551 72 85 25



# იგაელ იეჰუდი: „სტეპან ბანდერა თვითკმარი ნაცისტი იყო“



გულბაათ რცხილაძე და იგაელ იეჰუდი მეუღლესთან, ანჟელა რაზლუცკაიასთან ერთად (სასტუმრო „ვერე პალასი“, თბილისი)

საქართველოში ევრაზიის ინსტიტუტის მოწვევით იმყოფებოდა ორთოდოქსი ებრაელი რაბინი – ხასიდი, მეორე მსოფლიო ომის ისტორიის ბრწყინვალე მცოდნე, **იგაელ იეჰუდი**, რომელიც ამჟამად ბელორუსიაში ცხოვრობს. მან ლექციები წაიკითხა ქართული აკადემიური საზოგადოებისათვის. ლექციების თემა იყო მეორე მსოფლიო ომი და, განსაკუთრებით, უკრაინის მძიმე წარსულის ფაშისტური ეპიზოდები, უკრაინისავე სავალალო აწმყოს ჩათვლით.

რაბინმა იეჰუდიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ დღევანდელ უკრაინაში ‟ეროვნულ გმირად“ შერაცხულ სტეპან ბანდერას, გავრცელებული პროპაგანდის საპირისპიროდ, არასოდეს უბრძოლია გერმანელი ნაცისტების წინააღმდეგ. მიუხედავად ამისა, არ შეიძლება ასევე, რომ ბანდერა მივიჩნიოთ ჰიტლერის უბრალო „კუდად“, დანამატად. „ბანდერა თვითკმარი ნაცისტი იყო“ - ამბობს ებრაელი რაბინი.

საბჭოთა კავშირის როლს მეორე მსოფლიო ომში იგაელ იეჰუდი ცალსახად აფასებს: „როგორც იმ ერის შვილი, რომელსაც ნაციზმი ჰპირდებოდა ამოწყვეტას და მნიშვნელოვან წარმატებასაც მიაღწია ამ საქმეში, **ნაციზმს მივიჩნევ აბსოლუტურ ბოროტებად. იმ ძალებს, რომლებმაც დაამხეს ნაცისტური რაიხი, მივიჩნევ აბსოლუტური სიკეთის მიერ მოვლენილ ძალებად.** ნებისმიერი მცდელობა, გათეთრებულ იქნან ნაცისტები, ნებისმიერი მოწოდება, უფრო კეთილგანწყობილად შევხედოთ მათ, ვინც ნაცისტებს ჩემი ხალხისა და სხვა ხალხების გენოციდის განხორციელებაში ეხმარებოდნენ, ჩემს მიერ ვერანაირად ვერ იქნება გაზიარებული“ - განაცხადა მან სპეციალურ ბრიფინგზე.

სტუმარმა ლექციებზე ისაუბრა სხვადასხვა ქვეყნებში ნაცისტური იდეოლოგიის მიზეზებსა და რეციდივებზე, აბრაამული რელიგიების ფასეულობების წინააღმდეგ მიმდინარე შემოტევასა და რელიგიურ-ეროვნული იდენტობის შენარჩუნების პერსპექტივებზე. იგაელ იეჰუდიმ ასეთი ტერმინიც შესთავაზა საზოგადოებას - „ორთოფობია“, რომელიც ყველა ტრადიციული რელიგიისა და ამ რელიგიებიდან გამომდინარე მორალისა და ფასეულობების წინააღმდეგ სიძულვილსა და ბრძოლას გულისხმობს.

მან აღნიშნა, რომ როდესაც ნაციზმის სულისკვეთებაზეა ხოლმე საუბარი, „საჭიროა აღინიშნოს, რომ ნაციზმი არსებობდა არა მხოლოდ გერმანელ ხალხს შორის, სადაც ნაციზმმა მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მოიცვა“. იეჰუდიმ გაიხსენა 1941 წლის ივლისის ლვოვის მოვლენები:

„ებრაელების ხოცვამ ლვოვში ორ ეტაპად ჩაიარა: 1941 წლის ივლისის პირველ დღეებში და იმავე წლის ივლისის ბოლოს. პირველი ხოცვა-ჟლეტა გერმანელების ტაშის ფონზე მიმდინარეობდა. ბანდერულ ჯარებს სურდათ, ეჩვენებინათ, რომ ადგილობრივი მოსახლეობა გერმანელებს ისე ხვდება, როგორც განმათავისუფლებლებს და საკუთარი ინიციატივით ახორციელებს ებრაელების ამოწყვეტას. ბანდერელები ახდენდნენ ამის დემონსტრირებას, მაგრამ არა გერმანელების დავალებით. ეს სრულიად მათი საკუთარი ინიციატივა იყო“ - განაცხადა მან.

მისივე თქმით, ლვოვში იმჟამად დაახლოებით 4 ათასი ებრაელი დაიღუპა, მაგრამ უკრაინაში არავინ ფიქრობს ამ დანაშაულებების გამო ბოდიშის მოხდას:

„ეს მოქმედებები დღემდე არც ერთ უკრაინულ ხელისუფლებას არ დაუგმია, არც პარტიებს, არც საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, რომ აღარაფერი ვთქვათ უკრაინის სახელმწიფოს მეთაურებზე. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ უკრაინაში არავინ გამოსულა ამ ნაცისტური მხეცობების დასაგმობად. ამ მხრივ უკრაინა გერმანიას ჩამორჩება. გერმანიაში გერმანელების მიერ ჩადენილი დანაშაულებების ფაქტები ჩამოთვლილია, დასახელებული და დაგმობილი. უკრაინაში კი არაფერი ამდაგვარი არ ხდება“ - აღნიშნა რაბინმა.

იეჰუდის აზრით, დღესდღეობით არსებობს „მეოთხე რაიხის“ საფრთხე:

**„დასავლური იმპეროფაშიზმი, რომელიც სულ ახალ და ახალ ქვეყნებსა და ხალხებს იპყრობს და მას გლობალიზმს უწოდებენ, გვევლინება ნაცისტურ რაიხში წარმოშობილი იდეების პირდაპირ გაგრძელებად“** - ამბობს იეჰუდი.




იგაელ იეჰუდი კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში (თბილისი)

რაბინს მიაჩნია, რომ ეს მოვლენა ეფუძნება დასავლეთ ევროპასა და აღმოსავლურ-სლავურ, მართლმადიდებელ სამყაროს შორის დაპირისპირებას.

რაბინი იგაელი იეჰუდი წარმოშობით ბელარუსიდან არის, ამჟამად, როგორც აღვნიშნეთ, ბელარუსში ცხოვრობს, მაგრამ დიდი ხნის მანძილზე მოღვაწეობდა ისრაელში და ისრაელის მოქალაქეა.

ევრაზიის ინსტიტუტის ხელმძღვანელმა **გულბაათ რცხილაძემ** ქართველ ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა:

„ყოველივე ის, რაც თქვენ მოისმინეთ, მორწმუნე ებრაელი ადამიანის მიერ ითქვა, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. **დღესდღეობით ჩვენი მედასავლეთეები ცდილობენ, ფაშისტები ჰუმანისტებად წარმოაჩინონ, ოღონდ კი ყველაფერში რუსეთის დემონიზაცია მოახდინონ და ჩვენს ხალხებს შორის ხელოვნური განხეთქილება შეიტანონ. ამიტომ საჭიროა იმის შეხსენება, რომ ნაციზმსა და ფაშიზმს ამაზრზენი სახე აქვს. დღევანდელი უკრაინა ჩვენთვის მისაბაძი მაგალითი კი არა, საშინელი გაკვეთილი უნდა იყოს, თუ როგორ არ უნდა მოვიქცეთ.**

ჩვენ სპეციალურად არ მოვიწვიეთ რუსეთის მოქალაქე ებრაელები, არამედ ისრაელის მოქალაქე, რომელიც აბსოლუტურად დამოუკიდებელია რუსეთის ხელისუფლებისაგან. ამიტომ ვერავინ დაგვწამებს ტენდენციურობას. ასეთი ადამიანის ნათქვამი კიდევ უფრო მეტი დაფიქრების საბაბი უნდა გახდეს ჩვენთვის.

აქვე აუცილებლად მინდა აღვნიშნო რაბინ იეჰუდის უდიდესი კეთილგანწყობა საქართველოს მიმართ, ისევე, როგორც მართლმადიდებელი ქრისტიანებისა და ტრადიციული მუსლიმების მიმართ. იგაელ იეჰუდი სამი აბრაამული რელიგიის - ქრისტიანობის, ისლამისა და იუდაიზმის ჰარმონიული თანაარსებობისა და დასავლური ნეოწარმართობის წინააღმდეგ ერთობლივი მოქმედებების გულწრფელი მომხრეა“.

**ანა ვადაჭკორია**

# ციურიხის გენეალოგიური ცენტრის სენსაციური დასკვნა:

## ტუტანჭამონი და სხვა ეგვიპტელი ფარაონები კოლხები იყვნენ?!



გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საერთო გაზეთი" №8-9

### აია-კოლხეთს (საქართველოს) მსოფლიო წარღვნამდელი ცივილიზაციის ისტორია აქვს

7000 წლის წინანდელ მსოფლიო წარღვნას („წყარი-ღვნა") და ატლანტიდის დაღუპვას პლატონი კოსმიურ აფეთქებას უკავშირებს და გარკვეული თვალსაზრისით კოლხეთის მეფის ძმის, ფაეტ(თ)ონის მითით ხსნის. პლატონისავე ცნობით, სწავლულმა ქურუმებმა სოლონს (ათენელი პოეტი, მხედართმთავარი, რეფორმატორი, კანონმდებელი, მიჩნეული იყო ერთ-ერთ ყველაზე ბრძენ ადამიანად. დაიბადა ძვ.წ 638 წელს, გარდაიცვალა ძვ.წ 558 წელს) უთხრეს, რომ ფაეთონის მითში ჩაქსოვილია სინამდვილე, ციური სხეულები დროთა განმავლობაში უხვევენ თავიანთი გზიდან და მის მსგავსად იმსხვრევიანო...

ამერიკელი მეცნიერი და მწერალი იგნატიოს დონელი წიგნში „ლათინური ენის წარმოშობა" აღნიშნავს, რომ მაია არის წარღვნამდელი ატლანტიდიდან მოსული ტომის, კოლხუას კულტურული მემკვიდრე, კოლხუას ერა კი დამთავრდა ქრისტეს დაბადებამდე რამდენიმე ათასი წლით ადრე, ანუ ატლანტიდასა და კოლუმბამდელ ამერიკას შორის არსებობდა საზღვაო მიმოსვლა.

დდონელის საბაზო წყაროს წარმოადგენს XVI საუკუნის ქრისტიანი ესპანელი მისიონერის დიეგო დე ლანდას ხელნაწერი წიგნი „მაიას ტომის ისტორია", რომელიც ესპანეთის სამეფოს ისტორიის აკადემიის წიგნთსაცავში ინახება. იგი პირველი ქრისტიანი ეპისკოპოსი იყო იუკატანის ნახევარკუნძულზე რომელმაც აღწერა წარღვნამდელი მაიას ტომის ისტორია, მაიას ანბანი და ამ ანბანის წინასახე — კოლხუას ანბანი. შემდგომში მისი ხელნაწერები შეისწავლა ფრანგმა კათოლიკე მისიონერმა ბურბომ და მაიას ანბანზე დაყრდნობით ძველი ამერიკული წარწერებიც გაშიფრა.

დონელის ცნობებს თუ გავიზიარებთ, მაშასადამე, ქართულმა ტომმა კოლხუამ კოლუმბამდე მრავალი საუკუნით ადრე აღმოაჩინა ამერიკის კონტინენტი და იქ დიდი კულტურული მისია შეასრულა, მაიას ტომს შეუდგინა ანბანი და კოლხუათა ატლანტიდური ცივილიზაცია დაამკვიდრა ცენტრალურ ამერიკაში.

### კოლხების (ქართველების) კვალი

„უცნაური" და გაურკვეველი წარმოშობის უძველესი „რაღაც" ტომები მსოფლიოს თითქმის ყველა მხარეშია აღმოჩენილი, რომელთაც არავისთან და არაფერთან აქვთ რაიმე მსგავსება, თუმცა ბევრი რამ დღევანდელი ქართველისთვის სრულებით არ არის უცხო. ვთქვათ, ჩიჩილაკი, რომელსაც აი(ა)ნები ტირიფის ხის ტოტისგან თლიან, სახლის აღმოსავლეთ მხარეს ამაგრებენ და ლოცულობენ; ან ყაბალახი, სიტყვები, გვარ-სახელები, ტოპონიმები და ა.შ

სხვათაშორის, აი(ა)ნებივით კოლხური წარმოშობისად მიიჩნევიან კამბოჯელი კხმერები, რომელთაც გამორჩეულად ანადგურებდნენ „კომუნიზმის მშენებელი" ჩინელები. კამბოჯელი მმართველები არ ინდობდნენ კხამერებს, რადგან აშკარა იყო, რომ ისინი სხვა რასას წარმოადგენდნენ და კაცმა არ უწყოდა როგორ და რანაირად აღმოჩდნენ მათი წინაპრები კამბოჯაში...

ფინიკიელთა ატლანტიდურ მითებში (ფინიკიელებს ატლანტიდიდან მოსულ ხალხად მიიჩნევენ) პირველი კაცის სახელი არის „აიონი" (აიასი, აიასგან, აიათი); მის შვილს ჰქვია „ფურ", ატლანტიდურ-ფინიკიურად „ცეცხლი", რაც კოლხურად ნიშნავს „ცხელს", კოლხურად (მეგრულად) „ფურე" ნიშნავს მხურვალებას...

მაიას კალენდარში ერთ-ერთ თვეს ჰქვია „მოლი". ხომ არ არის ეს „მოლი" იგივე „მოლი", რომელიც „არგონავტიკაში" გვხვდება და ის „მოლი", რომლითაც მედეა ავადმყოფებს კურნავდა? — „მოლი" წარღვნამდელი კოლხური სიტყვაა. („მოლი" ფინიკიურად ნავსადგურის შესასვლელთან აგებულ გრძელ კედელს ჰქვია)

აცტეკურ მითებში საუბარია ორ ადამიანზე რომლებიც გადაურჩნენ წარღვნას „ტატა" და „ნენა". ეს უძველესი მეგრული (კოლხური) სიტყვებია, ნენა-ს დღესაც უწოდებენ დედას, ხოლო ტატა-ლი ამჟამადაც ლამაზს, მშვენიერს, საუცხოოს ჰქვია სამეგრელოში...

მეცნიერთა ერთი ნაწილი თვლის, რომ ატლანტიდიდან მოდის ფინიკიური და მაიას ტომის ანბანი („კოლაუს ანბანი"). თუ ეს მართლაც ასეა, ფინიკიელების პირველი ანბანი შექმნა „თააუთმა", რომელსაც ეგვიპტელები მთვარის ღმერთს, „თოთს" უწოდებენ. კოლხურში „თოუთი"— „თიუთა" — „თუთა" მთვარის ღვთაებაა (დამწერლობის ღმერთი). ძველ კოლხეთში ნიშნავს მთვარეს, თვეს, კვირის პირველ დღეს, სიტყვასიტყვით — მთვარის პირველ დღე, ორშაბათი. კვირეულის შვიდ დღეთა სახელები მეგრულად მთვარის სახელით იწყება „თუთაშდღა" — მთვარის დღე...

ჰეროდოტეს მტკიცებით, ფინიკიელებმა, რომლებიც განთქმული ზღვაოსნები იყვნენ, წითელი ზღვით შემოუარეს „შავ კონტინენტს" (აფრიკას), გაცურეს „ჰერკულესის სვეტებამდე" (გიბრალტარის სრუტე) და კართაგენში ჩავიდნენ. ჰერაკლეს სვეტებს იქით მდებარეობდა „ბედნიერების კუნძულები", რომელზეც სიკვდილის შემდეგ ნათელმოსილი გმირების აჩრდილები სახლდებოდნენ, უშფოთველად ცხოვრობდნენ და მარადიული ბედნიერებით ტკბებოდნენ. ამ კუნძულებს ახსენებს ჰომეროსი „ოდისეაში", ჰესიოდე, ჰინდარი და ა.შ ასევე, არაბული ლეგენდები და ზღაპრები.

არსებობს მეცნიერთა მოსაზრება, რომ კანარისა და მადეირის კუნძული ატლანტიდის კონტინენტის უკანასკნელი ნარჩენებია, რომელიც წინარეისტორიულ ხანაშიც ატლანტიკის ოკეანეში, აფრიკისა და ამერიკის კონტინენტს შორის მდებარეობდა. მეცნიერები იმასაც ამტკიცებენ, რომ ამ კუნძულზე მცხოვრები ხალხი, უნაჩები (გუნაჩები) იმ დიდი ხალხის უკანასკნელი შთამომავლები არიან, რომლებიც ატლანტიდაზე ცხოვრობდნენ და ოკეანეში ჩაინთქნენ.

ვასილ იანი („ფინიკიური ხომალდი" 1967 წ): — „უანჩები (გუანჩები) „ბედნიერების კუნძულის" მკვიდრი მოსახლეობაა, რომელთა წარმოშობა აქამდე საიდუმლოებითაა მოცული, გარდა იმ შეხედულებისა, რომ დაღუპული ატლანტიდელებისგან წარმოიშვნენ. არსებობს ასეთი აზრიც, რომ უანჩები უძველესი ეგვიპტელებისა და ჩრდილოეთ აფრიკაში მცხოვრები ბერბერების მონათესავენი იყვნენ. ცნობილია, რომ ჩრდილოეთ აფრიკაში მცხოვრები ბერბერები მეგრული ტომები არიან და მათ მნიშვნელოვან ნაწილს შენარჩუნებული აქვს ქართული ტრადიციები, ზნე-ჩვეულებები, ადათ-წესები, ქართული ცეკვის მანერები და ქართულ-მეგრული სამზარეულო. უანჩებში შემორჩენილი სიტყვები ბერბერების სიტყვებს ჰგავს, ბერბერები თავისუფლად, გასაგები ენით ესაუბრებოდნენ უანჩებს."



სიდონის თიხის ფილები

იანს აღწერილი აქვს ფინიკიელთა მოგზაურობა გემით და ისიც, რომ მოგზაურობისას ბრძენმა მოხუცმა ფინიკიელმა თიხის გამოწვის ოსტატს დაამზადებინა და გამოაწვევინა მრავალი თიხის ფილა რომელზეც მოგზაურობის ისტორია ჩაიწერა. ფილები მან იმ გამოქვაბულში ჩაფლა სადაც უანჩების წინაპარს უნდა ეცხოვრა. ბრძენი ასე ამთავრებს თავის მონათხრობს: — „მთელი ჩემი სიცოცხლე ვეძებდი ხალხს, რომელიც უსამართლოდ არ ექცევა და არ ჩაგრავს სხვას, თავისზე სუსტს და აი, მივაგენი მათ."

თიხის „წიგნები" სიძველეთა მოყვარულმა ექიმმა ვიქტორია მარტინმა სრულიად შემთხვევით იპოვა გათხრების დროს საიდში, იმ ადგილას, სადაც ოდესღაც ფინიკიური ქალაქი სიდონი მდებარეობდა. ნაპოვნ „წიგნებზე", რომელიც თანაბარი ზომის უამრავი თიხის ფილა, გამოსახული იყო 3-4 ათასი წლის წინ დაწერილი ასოები. მეცნიერებმა ამოიკითხეს და თარგმნეს უძველესი სამედიცინო, ასტროლოგიური და ისტორიული თხზულებათა ნაწყვეტები, მათ შორის ზღვაოსნის დღიულური ჩანაწერები, რომელიც საფუძვლად დაედო იანის რეალურ ისტორიას.




უნაჩების კუნძულები

ფილებზე იკითხება: — „უნაჩი მამაკაცები მაღალი, ახოვანი და ძლიერები იყვნენ. ისინი მამაცურად იბრძოდნენ და თავგანწირვით იცავდნენ თავიანთ სამშობლოს როდესაც მეკობრეები ესხმოდნენ თავს. ბიგვაიამ (ბიგვავა, ბიგვაია — მეგრული გვარი) ბერძნულად დაუწყო ლაპარაკი უნაჩს..." მსგავსი მაგალითები მრავლად აქვს მოყვანილი თავის შრომებში იანს.

XV საუკუნის დასაწყისიდან კანარის კუნძულებს ესპანელები მიაწყდნენ და მათთან ბრძოლაში უამრავი უნაჩი დაიღუპა, ზოგი მონად გაიხადეს და მთლიანობაში, როგორც ცალკე ტომი, უნაჩები გაქრა, აირია ესპანელებში. ამჟამად უნაჩების კუნძულზე ესპანურად ლაპარაკობენ.

### „ქართველი ზანგები"

1897 წელს ჟურნალ „მოამბის" მიმოხილვაში, „ივერიასა" და „ცნობის ფურცელში" გამოქვეყნდა გამოჩენილი რუსი მეცნიერისა და მოგზაურის, (იგი კარგად იცნობდა საქართველოს) ელისევის ნაშრომი სადაც საუბარი იყო აფრიკაში, საჰარის განაპირა მხარეს, ქალაქ უარგალში (ვარგალში) მცხოვრებ მეგრელებზე. იგი წიგნში „პო ბელუ სვეტუ" აღწერს მოგზაურობის შთაბეჭდილებებს და ამბობს, რომ მოსმენილი და ჩაწერილი აქვს ქართული (მეგრული) საუბარი აფრიკაში, ახსენებს გვარებსაც; გუგუნავა, ჭანუყვაია და სხვა.

1989 წელს გაზეთში გამოქვეყნდა ჟურნალისტ გიორგი კურტანიძის წერილი, რომელიც ალჟირის ნავსადგურში ნამყოფი ქართველი მეზღვაურის, სიორიძის მონათხრობზე იყო აგებული. მისი თქმით, სხვა ქართველ მეზღვაურებთან ერთად, ნავსადგურში ნახა „ქართველი ზანგები" რომლებიც ფრანგულ გემს ტვირთავდნენ. მათ სიორიძეს უთხრეს, რომ იქ ათი ქართველი მუშაობდა და ყველანი ერთი სოფლიდან იყვნენ; რომ უჯდასთან, მაროკოს საზღვრისპირა ქალაქთან ქართველების რამდენიმე სოფელია და მოსახლეობის დიდი ნაწილი გუგუნარის (გუგუნავა) გვარს ატარებსო.

პროფესორი ილია ტაბაღუა ორჯერ ჩავიდა ალჟირში 1964 და 1967 წლებში, მაგრამ ვერაფერით დაადგინა „ქართველი ზანგების გაზანგების საკითხი".

1972 წელს გამოქვეყნდა დ. ფაშტიანის ვრცელი წერილი „აფრიკელი ქართველების" საოცარი ისტორიის შესახებ. მათ შესახებ დოკუმენტური მასალები აქვს გამოქვეყნებული თავის წიგნში გ. მახარაძესაც „აფრიკის, ანუ უარგლელ-უჯდელი ქართველები."

საფრანგეთის გამოჩენილი მეცნიერი ედუარდ დემოლნისი ამბობს: — „ეგეოსიდან თუ ზევით ავიწევთ, ვხედავთ სამხრეთ გერმანიას, საფრანგეთს... ეს ადგილები იბერებს ეკავათ. ამის კვალი შემონახულია გერმანულ და ფრანგულ ენებში და ამასვე მოწმობს ადგილებისა და მდინარეების სახელები. ეტრუსკები, ისევე, როგორც პელაზგები, კოლხეთიდან არიან გადმოსახლებულები და კოლხეთმა დაუდო სათავე მედიტერანულ კულტურას, მის ფიზიკურ და სოციალურ ტიპს, მის მხატვრულ გემოვნებას."

უფრო მაღლა ადის ინგლისელი მეცნიერი ა. მორტონი: — „იბერიელები... გახდნენ ბრიტანეთის კუნძულების თანამედროვე მოსახლეობის ერთ-ერთი ძირითადი მამამთავრები, განსაკუთრებით ირლანდიაში, უელსსა და ინგლისის დასავლეთში."

მოტოქონდრიული ანალიზის საფუძველზე ამერიკელმა მეცნიერებმა, ადამიანის გენეტიკის სპეციალისტებმა რა დასკვნაც დადეს; ფარაონ თუთანჰამონის დნმ-ის დასკვნა და — მეცნიერები ერთ აზრზე შეჯერდნენ, რომ ქსენი-ზანა-დალის (კოლხური, ქართული) კლანი, ევროპის ათვისების შემდეგ, მსოფლიოს დიდი გამყინვარების დროს ყინულით დაფარული ოკეანით ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტზე გადასულა და იქაც დაფუძნებულა.

**(გაგრძელება იქნება)**



# ნოვრუზ ბაირამის

*ნოვრუზ ბაირამი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და ყველაზე პოპულარული დღესასწაულია, რომელსაც ძირითადად მუსლიმანური ქვეყნები აღნიშნავენ. ის არ არის რელიგიური დღესასწაული. 21 მარტი – ეს არის ზეიმი გაზაფხულის დღელამსწორობისა – ბუნიობისა, როცა დედამიწაზე ყველაფერი ცოცხალი ახალ სიცოცხლეს იწყებს. ეს არის განახლების სიმბოლო, ბუნების გამოღვიძების, მიწის, ზნეობრივი სიწმინდისა და თანასწორობის ზეიმი.*

*2009 წლის 30 სექტემბერს იუნესკომ ნოვრუზი კაცობრიობის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სიაში შეიტანა. ამ დროიდან მოყოლებული, 21 მარტი ნოვრუზის საერთაშორისო დღედ გამოცხადდა. აზერბაიჯანელები და ათზე მეტი სხვა ერი მას ყოველწლიურად ზეიმობს.*

*ნოვრუზ ბაირამი – ეთნიკურად აზერბაიჯანელი საქართველოს მოქალაქეების დღესასწაული, 2010 წლიდან საერთო სახალხო დღესასწაულად გამოცხადდა.*







21 მარტს აზერბაიჯანელთა სახალხო დღესასწაულის – ნოვრუზ ბაირამის, ანუ ახალი წლის დადგომის მისალოცად მარნეულს ეწვივნენ საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი, პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, მთავრობის წევრები, პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის აპარატის, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები. მათ მასპინძლობას უწევდა ქვემო ქართლში სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორი პაატა ხიზანაშვილი ადგილობრივ ხელმძღვანელ პირებთან ერთად.

### მარნეული

საზეიმო ღონისძიება მარნეულის ცენტრში გაიმართა. ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენლებმა და საპატიო სტუმრებმა დაათვალიერეს გამგეობის წინ საგანგებოდ ამ დღისთვის მოწყობილი გამოფენა, რომელზეც წარმოდგენილი იყო მარნეულის მუნიციპალიტეტში განხორციელებული და მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების ამსახველი ფოტომასალა, აგრეთვე ადგილობრივი წარმოების პროდუქცია და ხალხური რეწვის ნიმუშები. აქაურმა ეთნიკურმა აზერბაიჯანელებმა დედაქალაქიდან და რეგიონის სხვადასხვა რაიონიდან ჩამოსულ სტუმრებს დაახვედრეს აზერბაიჯანული ტრადიციული კუთხე, აღმოსავლური ტკბილეულობით გაწყობილი სუფრა და გულითადად უმასპინძლდებოდნენ საგანგებოდ ამ დღისთვის გამოცხობილი ფახლავითა და შექერბურათი, ბადამბურითა და გოგალით, ფერადი კვერცხებითა და გემრიელი ჩაით...

საერთო-სახალხო დღესასწაულის მონაწილეები დაესწრნენ სპორტულ შეჯიბრებებს ჭიდაობასა და მკლავჭიდში, საზეიმო კონცერტს, მონაწილეობა მიიღეს სახალხო მსვლელობასა და ამ დღესასწაულისთვის დამახასიათებელ რიტუალებში.

საქართველოს პრეზდენტმა გიორგი მარგველაშვილმა, პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა, მხარის გუბერნატორმა პაატა ხიზანაშვილმა და სხვადასხვა სახელმწიფო უწყების წარმომადგენლებმა იქ შეკრებილ ადგილობრივ მოსახლეობას ნოვრუზ ბაირამის დღესასწაული სცენიდან მიულოცეს.

**გიორგი მარგველაშვილი, საქართველოს პრეზიდენტი:** ,,თქვენ ბევრს აკეთებთ, ბევრს შრომობთ, ხართ ძალიან ნიჭიერები და შრომისუნარიანები. იცოდეთ, რომ ამას ყველა ხედავს და ცდილობს, რომ რაც შეიძლება მეტად შეუწყოს ხელი თქვენს კეთილდღეობას. დღეს არის ახლის დაწყების, ახალი ენერგიის, გაზაფხულის ზეიმის დღე. იცოდეთ, რომ არა მარტო დღეს, არამედ მთელი წლის განმავლობაშიც ჩვენ ვართ თქვენთან ერთად, რომ გემსახუროთ და ერთად ავაშენოთ უფრო ძლიერი, უფრო გამართული, უფრო ბედნიერი საქართველო. მე თქვენთან ერთად ვიბრძვი ბედნიერი საქართველოსთვის. გილოცავთ ბაირამს“.





# დღესასწაული ქვემო ქართლში

**ირაკლი ღარიბაშვილი, საქართველოს პრემიერ-მინისტრი:** „ყველას გილოცავთ დღევანდელ დღეს. ის, რომ დღეს მე და გიორგი, ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტი ვართ თქვენთან, ეს არის საქართველოს ერთიანობის დემონსტრირება. ეს არის თქვენდამი სიყვარულის დემონსტრირება. ეს არის გულიდან წამოსული სიტყვები, ამიტომ მინდა ყველას მოგილოცოთ დღევანდელი დღე. გაზაფხულის დღეს გილოცავთ, სიყვარულის დღეს გილოცავთ. დღეს ჩვენ ვზეიმობთ თქვენთან ერთად. ეს არის ძალიან მდიდარი რეგიონი. მე ვაფასებ თქვენს შრომისმოყვარეობას. ქვემო ქართლი ჩვენი ქვეყნის გამორჩეული რეგიონია და ჩვენ, როგორც პრეზიდენტმა ბრძანა, ყოველთვის თქვენ გვერდით ვიქნებით. გვინდა, ყოველთვის თქვენთან ერთად გავიზიაროთ თქვენი სიხარულიცა და გასაჭირიც. ჩვენი წინაპრები ყოველთვის ერთად ქმნიდნენ ჩვენი ქვეყნის უკეთეს მომავალს. დღეს ჩვენ ჩამოვედით ერთად იმისთვის, რომ უკეთესი მომავლის რწმენა ჩაგისახოთ, გითხრათ, რომ ყველაფერს გავაკეთებთ, რათა ხვალინდელი დღე იყოს უკეთესი საქართველოსთვის. ჩვენ გვჯერა უკეთესი მომავლის. გვჯერა, ძლიერი საქართველოსი და ძლიერი რეგიონის".

**პაატა ხიზანაშვილი, ქვემო ქართლში სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორი:** მოგესალმებით ჩემო თანამემამულეებო, ჩვენო დებო და ძმებო. გილოცავთ გაზაფხულის დადგომას, განახლებისა და სიყვარულის დღეს. ნოვრუზ ბაირამინიზ მუბარეკ! ვუერთდები ამ საერთო-სახალხო დღესასწაულს, რომელიც წინაპრებისგან ტრადიციად გადმოგვეცა და რომლითაც თქვენთან ერთად ვხარობთ. ბარაქა და სიხარული არ მოჰკლებოდეს ჩვენს ოჯახებს, არ მოშლილიყოს ორი უძველესი ხალხის ძმობა და მეგობრობა. ერთად გავაძლიეროთ ჩვენი ქვეყანა!

## დმანისი

ნოვრუზ ბაირამის დღესასწაული დმანისში, კერძოდ, რაიონულ ცენტრთან ახლომდებარე სოფელ ორუზმანში გაგრძელდა. ქვემო ქართლის რეგიონში სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორმა პაატა ხიზანაშვილმა გაზაფხულის დღესასწაული მიულოცა სხვადასხვა სოფლიდან ჩამოსულ დმანისელებს – აზერბაიჯანელებსაც და ქართველებსაც. დმანისის მუნიციპალიტეტში გამართულ ღონისძიებას მხარისა და გამგეობის პირველ პირებთან ერთად დაესწრნენ შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის წარმომადგენელი ზაურ დარგალი.

საგანგებოდ ამ დღისთვის მოწყობილ გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ამ მხარისთვის დამახასიათებელი ძველი საყოფაცხოვრებო ნივთები, აგრეთვე თანამედროვე ხელმარჯვე ოსტატთა ნახელავი – ხალხური რეწვის ნიმუშები.

სტუმრებმაც და ადგილობრივებმაც ნოვრუზ ბაირამის წლევანდელი დღის აღსანიშნავად ხეები დარგეს. გაიმართა სხვადასხვა კულტურული და სპორტული სანახაობა – კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ როგორც აზერბაიჯანელი, ისე ქართველი შემსრულებლები, დოღი, რომლის მონაწილეებმა სოფლის განაპირა ზეგანი დალაშქრეს. პაატა ხიზანაშვილმა ღვაწლმოსილი დმანისელები (აქსაკალები) სპეციალური სიგელებითა და საჩუქრებით დააჯილდოვა.

საზეიმო სადილზე მიწვეულმა დღესასწაულის მონაწილეებმა მრავალფეროვანი აღმოსავლური სამზარეულოს კერძებიც დააგემოვნეს.

რეგიონის გუბერნატორის, პაატა ხიზანაშვილის განცხადებით, დმანისში ნოვრუზ ბაირამის დღესასწაული სამომავლოდ უფრო მასშტაბურად გაიმართება.

## გარდაბანი

მარნეულისა და დმანისის მსგავსად, ნოვრუზ ბაირამი გარდაბანშიც აღნიშნეს. ღონისძიებას ქვემო ქართლში სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორის პირველი მოადგილე კახაბერ გუგეშაშვილი და რუსთავის მერი დავით ჯიქია გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგებელ გარსევან ნიორაძესა და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან ერთად დაესწრნენ. ნოვრუზ ბაირამის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო ღონისძიებების მონაწილეები კახაბერ გუგეშაშვილმა სპეციალური სიგელებითა და საჩუქრებით დააჯილდოვა.

**ნინი გოგინაშვილი**













# shk `kaTarzisis~ 2014 wlis saqmianobis programuli angariSi, finansuri angariSi da balansi

### პროგრამული ანგარიში

„კათარზისის“ საქმიანობა, როგორც წესი, ორ ძირითად ჯგუფად იყოფა: ის, რითაც ჩვენ ყოველდღიურად ვართ დაკავებული, ანუ სისტემატიური საქმიანობა და პროექტები, რომლებიც, წესისამებრ, ადამიანთა ფართო ჯგუფებზეა ორიენტირებული და პერიოდული ღონისძიებების ან ერთჯერადი აქციების ხასიათს ატარებს.

### სისტემატიური საქმიანობა

„კათარზისი“, ეს არის სოციალური დახმარების კომპლექსური ცენტრი, სადაც თავმოყრილია ის გადაუდებელი სოციალური დახმარებები, რომლებიც დღეს აქტუალურია სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის.

დღეს აქ ფუნქციონირებს: უფასო სასადილო, სილამაზის სალონი, წინასწარი სამედიცინო დათვალიერების კაბინეტი, აფთიაქი, მეორადი ტანსაცმლით დახმარების სამსახური, სოციალური ქსელების სამსახური, სარეაბილიტაციო-სავარჯიშო დარბაზი, კაფე, ბიბლიოთეკა, ტანსაცმლის შეკეთების სამსახური, უბინაოდ დარჩენილ ხანდაზმულთა თავშესაფარი, სამლოცველო, ხანდაზმულთა ხალხური, კლასიკური და საესტრადო გუნდები, აგრეთვე ინვალიდთა თეატრი. „კათარზისის“ შესახებ ფოტო და ვიდეო მასალა შეგიძლიათ იხილოთ მის ვებგვერდზე, მისამართზე: Catharsis.ge

სამადლო სასადილო თბილისში ყოველდღიურად 310 ადამიანს ემსახურება; 14 ხანდაზმული ქალბატონი თავშესაფარშია განთავსებული; 23 მწოლიარეს ყოველთვიურად მიეწოდება ბინაზე მშრალი პროდუქტები; 170 გაჭირვებულს წელიწადში ორჯერ (საშობაოდ და სააღდგომოდ) მიეწოდებათ მოცულობითი დახმარება პროდუქტებით.

უფასო აფთიაქი ემსახურება ყველა ბენეფიციარს, ვინც სარგებლობს სასადილოს მომსახურებით, აგრეთვე სოციალურად დაუცველ სხვა მოქალაქეებს.

მუშაობს ნოსტალგიის თეატრი.

ტანსაცმლის შეკეთების სამსახური მარტივ საქმეებზეა ორიენტირებული, რაც ძირითადად ხანდაზმულ მამაკაცებს სჭირდებათ, რომლებიც ქალურ მზრუნველობას მოკლებულნი არიან.

ჩვენი სამლოცველო მოხატულია თანამედროვე ხატმწერების მერაბ ჩაკვეტაძისა და დავით ხიდაშელის მიერ.

„კათარზისში“ გახსნილია ქალთა თავშესაფარი მათთვის, ვისაც არსად წასასვლელი არა აქვს. დღეისათვის გვყავს 14 ხანდაზმული. მათი სამჯერადი კვება, საექიმო თუ ყველა სხვა მომსახურება, ისევე, როგორც ყველა დანარჩენი სამსახური „კათარზისში“, უფასოა.

### პროექტები:
### „წლის ბებია-ბაბუა - 2014“

2014 წლის 5 იანვარს, ჩატარდა ხანდაზმულთა ტრადიციული საშობაო წარმოდგენა-კონკურსი წლის „ბებიასა“ და „ ბაბუას“ წოდებების მოსაპოვებლად. ხანდაზმულები, რომლებმაც გაიარეს შესარჩევი ტური, ერთმანეთს შეეჯიბრნენ ცეკვასა და სიმღერაში.

ცნობილი სახეებით დაკომპლექტებულმა ჟიურიმ გამოავლინა გამარჯვებულები; წლის „ბებია-2014“ გახდა ლირა არაბული, ხოლო „ბაბუა-2014“ - ვლადიმერ ზანგურაშვილი. კონკურსში გამარჯვებულებს და ყველა მონაწილეს გადაეცათ ფულადი პრემიები და საჩუქრები.

ღონისძიებას თვალყურს ადევნებდა „კათარზისში“ მოსული ყველა მსურველი მათთვის სპეციალურად მოწყობილ მონიტორებზე.

### „სადილი ყველას“

გრძელდება პროექტი „სადილი ყველას“. პროექტის მიზანია დავაპუროთ ყველა ის ადამიანი, ვინც გამოცხადებულ დღეს ჩვენს ორგანიზაციას ეწვევა. ღონისძიებამდე 5-6 დღით ადრე თბილისის ქუჩებში იკვრება 10 ორმხრივი საგზაო ტრანსპარანტი წარწერით „სადილი ყველას“, რაც სოციალურად დაუცველი თბილისელებისათვის უკვე კარგად არის ცნობილი, ხოლო ტელეეთერით, როგორც წესი, გადის სოციალური ვიდეორგოლი.

2014 წლის პირველი ასეთი აქცია ჩატარდა 7 იანვარს. საშობაო ღონისძიების სპონსორი იყო ფარმაცევტული კომპანია „ავერსი“. ამავე კომპანიის სპონსორობით გაჭირვებული მოსახლეობა დაპურდა სააღდგომოდ - 20 აპრილს და საკუთარი ორგანიზაციის დაბადების დღეს - 14 ნოემბერს.

14 იანვარს უქონელი თბილისელების მასპინძელი გახლდათ შპს „ტექნოჰაუსი“, ხოლო 19 იანვარს, „ნათლისღების“ და 28 აგვისტოს, „მარიამობის“ სადღესასწაულო აქციები დააფინანსა „ჯორჯიან ვოთერ ენდ ფაუერმა“.

პროექტის სპონსორი 12 ივლისს იყო „საქართველოს რკინიგზა“, ხოლო 1 ოქტომბერს, ხანდაზმულთა საერთაშორისო დღეს - „ტავ ურბან საქართველო“.

### „შეეწიეთ უპოვართ“

მთელი წლის განმავლობაში კვლავ მიმდინარეობდა პროექტი „შეეწიეთ უპოვართ“, რომელიც „კათარზისის“ 310 ბენეფიციარისათვის უფასო სადილის დაფინანსებას ითვალისწინებს. ჩვენი ორგანიზაციის თანამონაწილეობით სპონსორის სურვილის შესაბამისად ხორციელდებოდა 1 დღიანი (385 ლ.), 2 დღიანი (770 ლ.) დ ა. შ. ხანგრძლივობის პროექტები, რაც ჩვენი ხანდაზმულების სადილებს ნოყიერს, კალორიულს და გემრიელს ხდის.

### „იუბილეები“

კვლავ განვაგრძობთ ხანდაზმულთათვის იუბილეების აღნიშვნას. ყველა მოხუცს, რომელსაც მრგვალი თარიღი უსრულდება, ვუწყობთ სამახსოვრო საღამოს და ვასაჩუქრებთ ფულადი პრემიით - 100 ლარის ოდენობით.

### სარეაბილიტაციო-სავარჯიშო დარბაზი

სარეაბილიტაციო-სავარჯოშო დარბაზი, უაღრესად მნიშვნელოვანი სამსახურია ხანდაზმულებისათვის, როგორც სხვადასხვა დაავადებების პრევენციის, ისე უკვე გადატანილი მძიმე დაავადებების: ინფაქტის, ინსულტის, ხერხემლის პათოლოგიების და ა.შ. რეაბილიტაციისთვის, რისი ფინანსური შესაძლებლობა მოსახლეობის ამ კატეგორიას არ გააჩნია და არც ერთი სადაზღვევო პაკეტით არ არის გათვალისწინებული. კვალიფიციური სპეციალისტი ურჩევს ხანდაზმულებს მათი ჯანმრთელობისათვის შესატყვის ვარჯიშებს, ხოლო სათნოების ძმები ეხმარებიან მათ ამ რეკომენდაციების სწორად განხორციელებაში.

### კაფე

კაფის სახით გვაქვს ბენეფიციარებისათვის ერთ-ერთი ყველაზე ცხელი და სასურველი ადგილი - მას ყოველდღიურად 200-მდე ხანდახმული სტუმრობს. ვინაიდან 310-ზე მეტი ადამიანი მთელ დღეს ჩვენთან ატარებს, მათთვის კაფე თავშეყრისა და დასვენების ისეთი ადგილად იქცა, სადაც შეუძლიათ ესაუბრონ ერთმანეთს ფინჯან ჩაიზე, ყავაზე, აღნიშნონ დაბადების დღეები და სხვადასხვა დღესასწაულები, მოუსმინონ მუსიკას, გამართონ შეხვედრები, მიიღონ სტუმრები და ა.შ.

### კონცერტები და სპექტაკლები

2014 წელს „კათარზისის“ ხანდაზმულთა ნოსტალგიის თეატრი სისტემატიურად სთავაზობდა მაყურებელს სპექტაკლებს (29-ჯერ): „სამანიშვილის დედინაცვალი“, „ხანუმა“, გამოკეტილი ჭიშკარი). კვლავინდებურად საკონცერტო ღონისძიებებით აღვნიშნავდით დღესასწაულებს.

„კათარზისს“ ეწვივნენ და ჩვენს ბენეფიციარებს საკონცერტო პროგრამები შესთავაზეს თბილისის მე-8-ე, 98-ე, 53-ე და სხვა სკოლების მოსწავლეებმა. იმართებოდა მუსიკის, პოეზიის საღამოები და ა.შ.

### სამლოცველოში

„კათარზისის“ სამლოცველოში კვირაში ერთხელ ტარდება ლოცვა, რომელსაც უძღვება მამა დავითი (გელა თავაძე). აღსანიშნავია, რომ სანთელს სუფთაა ცვილისაგან ჩვენი ორგანიზაციის სასანთლეში ვამზადებთ.

### სოციალური ქსელები

ამ სამსახურს თავისი მუდმივი მომხმარებელი ჰყავს. გარდა ამისა, ნებისმიერ ბენეფიციარს შეუძლია შეისწავლოს კომპიუტერული უნარ-ჩვევები, ისარგებლოს ინტერნეტ-სივრცით, დაუკავშირდეს ნაცნობ ადამიანებს, გაერთოს თამაშებით და ა.შ. ამ სამსახურს ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც გარდა სწავლებისა, პრაქტიკულადაც ეხმარება ხანდაზმულებს და თვალყურს ადევნებს მიმდინარე პროცესებს.

### რელაქსაციის ოთახი

ეს არის ადგილი უდიდესი, ულამაზესი გალიით, სადაც ერთი წლის წინ 22 ამადინი (ფრინველის სახელწოდება) ბინადრობდა, ხოლო დღეისთვის მათი რიცხვი 40-ს გადაცდა. მათი ჟღურტული სიმშვიდისა და განტვირთვისათვის საუკეთესო გარემოს ქმნის.

### მოსკოვის გამზირის დროებითი თავშესაფარი (კარვები)

2013 წლის 15 დეკემბრიდან „კათარზისი“ ჩართულია ქ. თბილისში ზამთრის პერიოდში მიუსაფარი პირების დახმარების მიზნით მიმდინარე სამთავრობო პროექტში. „კათარზისი“ მოსკოვის გამზირის მიმდებარედ მოწყობილ 21 კარავში განთავსებულ 200-ზე მეტ ბენეფიციარს უზრუნველყოფს ორჯერადი კვებით, საყოფაცხოვრებო და პირადი ჰიგიენის ნივთებით. პროექტი დღემდე გრძელდება.

### ეკონომიკური საქმიანობა

ერთადერთი ეკონომიკური საქმიანობა, რომელსაც ასოციაცია „კათარზისი“ აწარმოებს, არის ფართების გაქირავება. დღეისთვის იჯარით გაცემული გვაქვს 147 კვმ ფართი.

### ფინანსური ანგარიში სჰკ "კათარზისი"-ის მიერ მიღებული შემოსავლების წყაროებისა და გაწეული ხარჯების მიზნობრიობის შესახებ 2014 წელი

| | |
|---|---|
| საქველმოქმედო შემოსავლები ფულადი სახით | 649 293,55 |
| საქველმოქმედო შემოსავლები პროდუქტების სახით | 152 295,75 |
| საქველმოქმედო შემოსავლები მედიკამენტების სახით | 56 967,26 |
| საქველმოქმედო შემოსავლები ტანსაცმელების სახით | 19 303,95 |
| ეკონომიკური საქმიანობიდან შემოსავლები | 493 467,06 |
| სხვა საქველმოქმედო შემოსავლები | 36 258,28 |
| **შემოსავლების ჯამი** | **1 407 585,85** |
| თანამშრომლებზე გაცემული ფულადი სახსრები | 267 101,66 |
| პროდუქტების ხარჯი | 467 869,69 |
| სამეურნეო ხარჯი | 82 464,79 |
| მედიკამენტების ხარჯი | 75 931,37 |
| ტანსაცმელების ხარჯი | 39 148,51 |
| ბენეფიციარებზე გაცემული ფულადი სახსრები | 39 516,00 |
| საგადასახადო ხარჯი | 496,20 |
| სპონსორების მოზიდვის ხარჯი | 128 407,71 |
| ელ. ენერგიის ხარჯი | 33 424,22 |
| წყლის გადასახადი | 1 108,80 |
| დასუფთავება | 737,60 |
| გაზის გადასახადი | 7 495,50 |
| საკომუნიკაციო ხარჯი | 19 378,56 |
| სატრანსპორტო და საწვავის ხარჯი | 23 477,15 |
| რემონტის ხარჯი | 3 225,38 |
| სხვა მომსახურებაზე გაწეული ხარჯი | 23 083,55 |
| სხვა ხარჯები | 25 636,14 |
| ბენეფიციარებზე გაწეული სხვა ხარჯები | 3 003,00 |
| მიუსაფარ პირთა დროებითი თავშესაფრის მომსახურე პერსონალზე გაწეული ფულადი სახსრები | 138 023,28 |
| **ხარჯების ჯამი** | **1 379 529,11** |
| | |

სჰკ „კათარზისი“-ის პრეზიდენტი /ზ. ალადაშვილი/







## თავსატეხი

შვეულად: ამატი, აყალო, გუფთა, დუბაი, ერატო, ზვინი, თემქა, იმაგო. იმედა, იუნგა, ტორსე, ტვერი, ქორფა, ღრიჭო, ცენზი, წავია, ჭინჭი.

თარაზულად: ანდრო, აქცია, ბაიკა, ვაზნა, იამბი, ივიკო, ინტრო, კიფერ, ლანდი, მარგო, ნაიკი, ფლალი, საქმე, ფორმა, ღინტუ, ყვავი, შალვა, ჩაწიე, ხუთვა, ჯაჭვი.

## სამიდან ერთი-ერთი

შვეულად: 1. ბახუსი, ტოლობა, მუსიკა. 2. დომინო, ჟენევა, პატოდა. 3. მანერა, მელანო, მულამი. 4. ტაქსი, ფონდი, კოჟრი. 5. ქანდა, გერბი, ჯეზვე. 6. საუნა, ჩანთა, ნაძვი. 11. ჩერჩილი, ნოიგილი, ბარტერი. 12. შპიგელი, კრონოსი, პლენერი. 13. ქოთანი, ჭედილა, რეზინი. 14. რულეტი, პარიზი, ლამურა. 15. სალონი, რონიკო, ბუკეტი. 16. კოლოსი, კურაგა, კიკინი.

თარაზულად: 3. პომიდორი, მაგაკონი, დედოფალი. 7. წარწერა, ბუნება, გალონი. 8. ნიჟარაძე, მაგალითი, ტიტიკაკა. 9. მიქელე, პერონი, ბუგატი. 10. კონსოლი, როინიში, გუდვილი. 13. მესერი, ჩივილი, ჭალარა, 17. გრუხუნი, ქვითინი, ტრაბახი. 18. კულისი, ტაპირი, დომინო. 19. კრიკეტი, ტროტილი, ბლოკადა. 20. მეთანი, ლირიკა, სადილი. 21. კვერეთი, ხრამული, ვაიკიკი.

## შიფრვორდი

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 20 | | 10 | | 33 | 5 | 6 | 5 | 9 | 22 | 8 |
| 14 | 5 | 7 | 5 | 2 | 15 | | 15 | | 15 | | |
| | 4 | | 1 | | 14 | 5 | 18 | 8 | 7 | 15 | |
| 26 | 29 | 1 | 29 | 7 | 8 | | 3 | | 8 | | 27 |
| | 7 | | 17 | | | 31 | 8 | 6 | 15 | 1 | 8 |
| 23 | 8 | 20 | 8 | 9 | 8 | | | 5 | | | 1 |
| 25 | | 8 | | 5 | | 19 | 5 | 12 | 5 | 1 | 8 |
| 2 | 15 | 12 | 8 | 4 | 5 | | | 9 | | 5 | |
| 5 | | 15 | | 5 | | 11 | | 29 | | 32 | |
| 26 | | 2 | | 22 | 8 | 24 | 8 | 13 | 8 | 5 | |
| 5 | 30 | 15 | 3 | 8 | | 8 | | 8 | | | 28 |
| | 17 | | 5 | | | 9 | 8 | 5 | 9 | 12 | 8 |
| 19 | 8 | 26 | 2 | 8 | 26 | 15 | | | 8 | | 28 |
| | 2 | | 26 | | 1 | | | | 32 | 4 | 5 |
| 16 | 8 | 2 | 8 | | 5 | 2 | 5 | 21 | 8 | | |

ა-6, ბ-, გ-, დ-, ე-29, ვ-, ზ-, თ-, ი-8, კ-, ლ-, მ-, ნ-, ო-14, პ-, ჟ-, რ-1, ს-3, ტ-, უ-25, ფ-10, ქ-, ღ-, ყ-23, შ-, ჩ-, ც-, ძ-, წ-, ჭ-, ხ-17, ჯ-, ჰ-

## ვხედავთ, გვახსოვს, ვაფასებთ, ანუ ვცოცხლობთ!



ქალბატონ რაისა ქარაიას — აფხაზეთის უმაღლეს საბჭოს დეპუტატს, მეცნიერს და მოღვაწეს იუბილეს ვულოცავ.

თქვენი დაბადებიდან მომდევნო მრგვალი თარიღი თქვენს უსაყვარლეს, საოცნებო და მონატრებულ მხარეში — აფხაზეთში აღგვენიშნოს, თქვენს ყველა ოცნებას ხომ ახდომა უწერია, ეს ოცნებაც ალბათ, მალე აგიხდებათ და ყველა ბედნიერი ვიქნებით!

— ჩვენო ძვირფასო რაისა, გილოცავთ, საიუბილეო თარიღს!

**ქეთევან ჩემია**


## ქოზიფას მამათა მონასტრის განვითარების ფონდი




დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან

**0 901 500 540**

თიბისი ბანკი

ა/ნ GE88TB1117236080100001



## davexmaroT jaba bojguas!



საბანკო ანგარიშია GE22BR0000010381699630
ბანკი „რესპუბლიკა“
**მანანა გვასალიას** სახელზე.
ჯაბა ბოჯგუას დახმარების მსურველებმა ბილაინის და მაგთის აბონენტებმა დარეკეთ შემდეგ ნომერზე 0901 700 039
ტელ.: 599 40 00 13 მანანა გვასალია


## ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** — ამ პერიოდში თქვენ მთლიანად დასვენებასა და გართობაზე გადაერთვებით, რაც გარკვეულწილად შეცდომა იქნება, მით უმეტეს, რომ თქვენი ინერტულობა და უპასუხისმგებლობა საქმიანი ურთიერთობებისა და გეგმების დამუხრუჭებას გამოიწვევს. ეს კი ცხადია, გარკვეულ პრობლემებს შეგიქმნით.

**კურო** — შესაძლოა, თქვენი აქტიური ხასიათის საწინააღმდეგოდ, თავი მოწყენილად და დეპრესიულადაც კი იგრძნოთ. ეს თქვენს საქმიან ცხოვრებას უკუპროცესით წარმართავს და გამორიცხული არ არის, მომავალი პოტენციური პროექტებიც ჩააგდოთ. ამიტომ ტემპს მოუმატე.

**ტყუპები** — ერთდროულად მრავალ ფრონტზე მოგიწევთ ბრძოლა. ბევრი მოუგვარებელი პრობლემა თქვენს ჩარევას მოითხოვს და როგორ გაართმევთ ამ ყოველივეს.

**კირჩხიბი** — შესაძლოა, რაღაცეები მოულოდნელად შეცვალოთ, რაც მეტესწილად პოზიტიურ შედეგს მოგცემთ, თუმცა ამ ცვლილებების გამო გართობასა და სიამოვნებაზე იტყვით უარს.

**ლომი** — ამ პერიოდში შეგექმნებათ არა ერთი შესაძლებლობა, მოაგვაროთ ყოფითი პრობლემები. ამისთვის ემოცია უკანა პლანზე უნდა გადასწიოთ.

**ქალწული** — მიმდინარე პერიოდში ფინანსური საკითხების მოგვარებით იქნებით დაკავებული. არ არის გამორიცხული, ახლობლებმა მატერიალური დახმარება გთხოვონ.

**სასწორი** — ამ პერიოდში მოვლენები ისე სწრაფად და ამასთან, მოულოდნელად განვითარდება, რომ შესაძლოა, ამ ყოველივეს ფეხი ვერ აუწყოთ და შეცდომებიც დაუშვათ. ასე რომ, მზად იყავით ნებისმიერი ექსტრემალური მოქმედებისთვის.

**მორიელი** — მოსალოდნელია ადმინისტრაციულ ან სახელმწიფო პირებთან ერთად გარკვეული პროექტების განხილვა და მათთან ერთად ამ პროექტების განხორციელებაზე ზრუნვაც მოგიწიოთ.

**მშვილდოსანი** — მოუხმეთ ორგანიზატორულ შესაძლებლობებს, რადგან თქვენს გარშემო მიმდინარე მოვლენები ქაოტურ სახეს მიიღებს, ეს გაიძულებთ, რაღაც-რაღაცეები გადააფასოთ.

**თხის რქა** — მოგიწევთ ლიდერის როლის შეთავსება და ინიციატივის საკუთარ თავზე აღება. ამას დაემატება თქვენი მხრიდან იმიჯის შეცვლაც. ეს ყოველივე საწინააღმდეგო სქესის ადამიანებს თქვენდამი დადებითად განაწყობს.

**მერწყული** — ენერგიულობა და შემოქმედებითი აღმაფრენა დაგეხმარებათ, წარმატებით დაასრულოთ ადრე წამოწყებული საქმეები და ახალი პროექტების დაგეგმვაზე იზრუნოთ.

**თევზები** — მოგიწევთ ადრე დაწყებული საქმეების დასრულება, თუმცა არ გირჩევთ, მკვეთრ მოქმედებებსა და კატეგორიულ ტონს, ეს კონფლიქტური სიტუაციების ალბათობას ერთი-ორად გაზრდის.


## სახალხო მკურნალი (მცენარეული პანაცეა)



ქალბატონი ირმა სიხარულიძე სამედიცინო დარგის მუშაკია, მაგრამ ავადმყოფებს საუკუნეებით გამოცდილი საგვარეულო წამალ-მალამოთი მკურნალობს. იგი წარმატებით კურნავს: ოსტეოქონდროზს, პოლიართრიტს, მწვავე რადიკულიტს, კისრის, მხრის და მენჯ-ბარძაყის მუხლ-სახსრების ართრიტს; ქვედა კიდურების სისხლძარღვთა შევიწროებას, ე.წ. მარილების დაგროვებას ქუსლისა და ტერფის არეში, დისკოზს, სამწვერა ნერვის ანთებას, შიდა ქალის წნევას.

წამალი მცენარეულია და არანაირი უკუჩვენება არ აქვს.

**მიმართეთ და ენდეთ ირმა სიხარულიძეს.**
**მას შეგიძლიათ დაუკავშირდეთ:**
**ქ. თბილისი, ფოთის ქ.№2 (მეტრო წერეთელთან)**
**ტელ: 557 358 900, 34 21 63**



## ფრანგულ-ქართული საბავშვო ბაღი „პატარა უფლისწული“




ბაღი ფუნქციონირებს 2014 წლის 15 სექტემბრიდან. ბაღის სასიამოვნო გარემოში ბავშვები სწავლობენ ფრანგულს და აქვთ ხატვის, სიმღერის, ცეკვის, ჭადრაკის და თეატრალური თამაშების გაკვეთილები.პარატებს გაკვეთილებს უტარებენ სენტ ეგზიუპერის ფრანგული კოლეჯის გამოცდილი მასწავლებლები.

„პატარა უფლისწული“ იღებს 3 დან 5 წლამდე ბავშვებს და მუშაობს 10 საათიდან 7 საათამდე.

**დაგვიკავშირდით შემდეგ ტელეფონის ნომრებზე:**
**595 727979 – ირინა ტერელაძე;**
**599 224328 – ქეთევან იოსელიანი**
**მისამართი: ჭავჭავაძის გამზირი 11**


ISSN 2233-3983